საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 28 აგვისტო, 2015 წელი.

№161 (7806)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ფაქიზებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

© გზად მომავლისკენ

საქართველომ დაამტკიცა, რომ უნარი შესწევს, იყოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი

ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი იწყებს!..

2

გილოცავთ მარიამობას!

28 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია მარიამობას დღესასწაულობს.

ქრისტიანულ სამყაროს, ჩვენს დედაეკლესიას ყოვლაწმინდა ღვთისმშობელ, მოციქულთა მსგავსად, სიტყვით და საქმით, მხურვალე ლოცვით განამტკიცებდა.

ქრისტიანები დედა ღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ამიტომაც მის ყოველ სიტყვას იმახსოვრებდნენ, ქალწული მარიამის ხასიათის და გარეგნობის აღწერაც კი შემოგვინახეს...

დღემდეა შემონახული ყოვლაწმინდა ქალწულის სახე, რომელიც მახარებელმა და მოციქულმა ლუკამ დახატა...

ქრისტეს მოწაფის მიერ დახატულ თავის გამოსახულებას შეხედა დედა ღვთისამ, თქვა: „მადლი და წყალობა ძისა ჩემისა ახლავს ამ ხატს“.

დღევანდელი დღესასწაული — მარიამ ღვთისმშობლის მიძინება, ასევე მისი შობა, ტაძრად მიყვანება უშუალოდ დედა ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმიდა სამების შემდეგ იდიდება მარიამ ღვთისმშობელი, რადგან იგი ქურუმებზე უპატიოსნესია და სერაფიმებზე აღმატებული.

სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: **„ღვთისმშობელი გახდა ზეციური ბჭე, ის არის ჩვენი სულების მხსნელი. საქართველოს გადაარჩენს ყოვლადწმიდა ქალწულის საფარველი, მისი კვართი და სარტყელი. ღვთისმშობლის მადლით გაბრწყინდება საქართველო!“...**

ღვთისმშობელო ქალწულო, გისარგებლენ, მოვადლებულო მარიამ, შფალი შენ თანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვშვენ სულთა ჩვენთა, ამენ.

გიული ლიპარტია

წერილი რუსთავიდან

როდემდე, როდემდე?!!!

6

საკაშვილი უკრაინაში დარჩენაზე რომ იყოს ორიენტირებული, სხვაგვარად იმოქმედებდა

კუკავა ჩვეულ სისულელეებს

2

კუკავს...

ლტოლვილობა ევროპაში

5

4

ვინ აუნაზღაურებს გლეხებს ზარალს?

სანამ კოჰაბიტაციის რეჟიმი მუშაობს

3

აგვისტოს ცხელი ამბები

კალამი მილის დროსაც სასთუმლად მედო...

7

◎ გზად მომავლისკენ

ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი იწყებს!..

ეროვნული სასწავლო ცენტრ „კრწანისის„ ტერიტორიაზე, ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი გაიხსნა.

ცენტრი ოფიციალურად ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნეს.

ინაუგურაციის ცერემონიალის ფარგლებში იენს სტოლტენბერგი საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ ასეულს შეხვდა, რომელიც ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებისთვის გადამზადდა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი და საქართველოს პრეზიდენტი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გიორგი მარგველაშვილი.

ღონისძიებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

წვრთნისა და შეფასების ცენტრის დაარსება უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის ფარგლებში იყო გათვალისწინებული. ცენტრის, ისევე როგორც პაკეტის სხვა ინიციატივის მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება, თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და ნატოს ძალებთან თავსებადობის გაზრდა. სხვადასხვა სახის წვრთნების ჩატარების მიზნით, ცენტრი საქართველოში არსებულ ყველა საწვრთნელ ინფრასტრუქტურასა და შესაძლებლობას გამოიყენებს. პროექტის განხორციელებას, ქართველ კოლეგებთან ერთად, ნატოს წევრი ქვეყნების, კერძოდ, დანიის, ლატვიის, ლიტვისა და ნორვეგიის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ.

ღარიბაშვილის შეფასებით, ნატო-საქართველოს ერთობლივი ცენტრი თავისი შინაარსით და ფუნქციით ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას.

* * *

საქართველომ დაამტკიცა, რომ მას შესწევს უნარი, იყოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ნატო-საქართველოს შეფასებისა და წვრთნის ერთობლივი ცენტრის გახსნაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, აღნიშნული ცენტრი იდგება სწორედ რეგიონალური უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მშვიდობის განმტკიცების სამსახურში.

„ჩვენთვის მეტად სასიხარულოა, რომ საქართველო-ნატოს ურთიერთობები და თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება. ბოლო წლებში ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რასაც ჩვენი პარტნიორების მხრიდან აღიარება და შესაბამისი შეფასება მოჰყვა. დღეს საქართველოში იხსნება წვრთნისა და შეფასების ცენტრი, რომელიც ნატო-საქართველოს მორიგი წარმატებული ერთობლივი პროექტია. ჩვენმა მთავრობამ, ისევე როგორც წევრმა ქვეყნებმა და ნატოს საერთაშორისო სამსახურმა უდიდესი სამუშაო გასწიეს, რომლის შედეგიც არის ეს ცენტრი. მე ასევე მინდა გითხრათ, რომ საქართველოს უკვე აქვს ნატოს მხარდაჭერით შექმნილი ცენტრების მართვის გამოცდილება — კერძოდ საჩხერის ცენტრის სახით. ვფიქრობ, ეს გამოცდილება დაგვეხმარება ახალი ცენტრის წარმატებით საქმიანობაში.

ერთი წელიც არ არის გასული მას შემდეგ, რაც უელსის სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება არსებით ღონისძიებათა პაკეტის შემუშავების შესახებ და მე შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ჩვენ ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში მოვახერხეთ პაკეტით გათვალისწინებული პროექტების იმპლემენტაციის დაწყება, წვრთნისა და შეფასების ცენტრი პაკეტის ყველაზე მასშტაბური კომპონენტია და მისი დაარსება ნათლად წარმოაჩენს პროგრესს, რომელსაც ჩვენ ერთად მივაღწევთ. ეს სასწავლო ცენტრი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, ცენტრის ფუნქციონირება დაგვეხმარება ჩვენი შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის ამაღლებაში. ცენტრის დაარსებას საქართველოში აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა — ეს არის საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლება. ამის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი და ცენტრი ამ ეტაპის წარმატებით დაძლევაში დაგვეხმარება. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ თანამშრომლობის ეს ახალი ინსტრუმენტი ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობების გაღრმავებას. მე ასევე მინდა აღვნიშნო, რომ სასწავლო ცენტრის საქმიანობა არანაირად არ იქნება მიმართული რომელიმე მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ. მეტიც, იგი იდგება რეგიონალური უსაფრთოების, სტაბილურობისა და მშვიდობის განმტკიცების სამსახურში. ცენტრი თავისი შინაარსითა და ფუნქციით ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ პარტნიორებისა და მეგობრების მხარდაჭერით საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ერთიან, მშვიდობიან და თავისუფალ ევროპულ ოჯახში.

„წლების განმავლობაში ალიანსის მიერ წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობით საქართველომ დაამტკიცა, რომ მას შესწევს უნარი, იყოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი. მიუხედავად უმძიმესი დანაკარგებისა, ჩვენი ქვეყანა კვლავ რჩება ავღანეთში მიმდინარე მისიის ერთ-ერთ უმსხვილეს მონაწილედ. ჩვენი ქვეყანა სრულად აცნობიერებს გლობალური ტერორიზმის და ექსტრემიზმის საფრთხეს. შესაბამისად, ცენტრის დაფუძნება არის საქართველოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუცია რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გენერალურ მდივანს ჩამობრძანებისთვის. ეს არის დემონსტრირება ნატოს მხრიდან მხარდაჭერისა და სოლიდარობის გამოხატულებისა. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს თავდაცვის მინისტრს და მთლიანად სამინისტროს, ასევე წევრ ქვეყნებს, ყველა ოფიცერს და საჯარო მოხელეს, რომელმაც წვლილი შეიტანა ცენტრის დაარსებაში.

მინდა დაგიდასტუროთ, რომ რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ მჭიდრო კონსულტაციებს და ინტენსიურ დიალოგს ნატოსთან, ევროკავშირთან და დასავლელ პარტნიორებთან. მე ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი პარტნიორებისა და მეგობრების მხარდაჭერით საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ერთიან, მშვიდობიან და თავისუფალ ევროპულ ოჯახში“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

◎ ხელმოცარული კარიერისტი

კუკავა ჩვეულ სისულელეებს კუკავს...

ამჟამინდელ ქართულ პოლიტიკას ბევრი საბედისწეროდ აკიდებული ვაიპოლიტიკოსი ჰყავს, რომელსაც პოლიტიკური კარიერიზმის გარდა, ცხოვრების სხვა გზა ვერ უპოვია და, რადგან როგორც პოლიტიკოსი, აშკარად გაბერწებულია, თანაც წლების მანძილზე, ღობე-ყორეს ედება და პოლიტიკურ ჭორაობაზეა გადასული.

სწორედ ამ გაბერწებულ პოლიტიკოსთა არცთუ მცირე ლაშქარს ეკუთვნის ეგრეთ წოდებული „თავისუფალ საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, რომელსაც მაინცდამაინც თავისეულ „თავისუფალ“ საქართველოში უნდა კარგა გვარიან თანამდებობაზე მოჯდომა, რადგან სხვისეულ თავისუფალში არაფერი არ გამოსდის და დემაგოგიური ჭორაობით უნდა საზოგადოების ყურადღების მიქცევა.

არადა, საზოგადოებამ უკვე მოუსინჯა კბილი კუკავებს და კუკავებისთანებს, რომელთაც მარტო თავიანთი თავი ანაღვლებთ და სულ ფეხებზე ჰკიდიათ ქვეყანაც და საზოგადოებაც. ეკრანი იქნება, რადიო თუ გაზეთი, შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ თავიანთი მოკლე ჭკუით ლაფი არ დაასხან არა მარტო „ოცნებას“, არამედ თვითონ ბიძინა ივანიშვილს, ვინც, ამ კუკავას თუ მოკუკავას თქმით, თურმე „მოსიარულე ღმერთი ეგონა ხალხს და ყველაზე დიდ ანტიქართველად იქცა“.

კი, ბატონო, შურიანებმა, ხელმოცარულებმა, სხვისი ჯიბის შემყურეებმა და მუქთა ცხოვრებისთვის თავგადაკლულებმა ათასი რამ სისულელე შეიძლება რომ დააბრალონ ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ანტიქართველობის დაბრალება უკვე თვით დამბრალებლის არა მარტო უჭკუობას, არამედ სწორედაც ანტიქართველობას ცხადყოფს.

კუკავას უფლება არა აქვს მთელი ხალხის, მთელი საზოგადოების სახელით ილაპარაკოს, თავისი გაბითურებული პარტიის სახელით ჭორაობას კი არავინ არ უშლის.

მე, როგორც ხალხის და საზოგადოების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, უნდა ვურჩიო (თუმცა, დიდი იმედი არა მაქვს, რომ შეისმენს!): ხომ ხედავ, კახუნია, უკვე წლებია, სულ ტყუილად ირჯები როგორც პოლიტიკოსი, შენ კახა კი არა, ნაპოლეონიც რომ გერქვას, შენი პარტია მაინც ვერ გადალახავს „საპარლამენტო ბარიერს“, ამიტომ იურისტმა კაცმა იქნებ საადვოკატო პრაქტიკას მიჰყო ხელი და ცხოვრების სახსარიც პოლიტიკის გარეთ ეძებო.

დაიჯერე, სისულელეების კუკვას ნამდვილად ასე აჯობებს. ცდა ბედის მონახევრეა, რა იცი, იქნებ როგორც ადვოკატს, უფრო გაგიმართლოს.

და ერთიც, ბიძინა ივანიშვილის ლანძღვით და ათასი სისულელის დაბრალებით ხალხს ვერც მოატყუებ და ვერც ფონს გახვალ.

თეთრსა და შავს ჩვენ, ხალხი, უშენოდაც კარგად ვარჩევთ, შენი ნაკუკარი შენთვის შეინახე, თანაც მაგრად, ემანდ არავინ არ შეგეცილოს.

გურამ წიკლაური

P.S. ისე, კუკუ, ბიძინა ივანიშვილს რომ დაეძახე და თავისი პრემიერ-მინისტრობის დროს რამე თანამდებობა შენი გულისად შემოეთავაზებინა, მაშინ ამდენ სისულელეს ხომ აღარ მოკუკავდი?!

გ.გ.



სანამ კოჰაბიტაციის რეჟიმი მუშაობს

აგვისტოს ცხელი

ცხელოდა აგვისტოში. შეიძლება ითქვას, გაუსაძლისად ცხელოდა და ისედაც მაღალ ტემპერატურას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, რომელთაგან ზოგიერთზე შეიძლება გაგვეცინოს, მაგრამ თუ რეალურად შევხედავთ, მივხვდებით: სწორედ ეს სასაცილომდე მისული მოვლენებია დამნაშავე იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს სატირლად აქვს საქმე.

პირველი ასეთი „მოვლენა“ ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ყოფილი ხელისუფლების აქტივისტების ე.წ. ინტელექტუალური ნაწილის „გალაშქრება“ იყო, რომელსაც, ბუნებრივია, საზოგადოების აღშფოთება და შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. რეაქცი კი მოჰყვა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გახმიანებულა ამ აშკარა პროვოკაციის ნამდვილი არსი.

არადა, ძალიან მარტივი მისახვედრია, რომ ნაცების და აგრესიული ლიბერასტების მიერ აგორებული ამ ტალღის მიზანი, საზოგადოების გაღიზიანება, აგრესიის გამოწვევა და მომავალი, სერიოზული პროვოკაციისთვის ნიადაგის შემზადებაა.

არც ის არის გამორიცხული, რომ ქართულ მენტალიტეტში არსებულ ღირებულებებზე დაცინვით საუბარი იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც 2003 წლიდან ნაც-ტელევიზიების წყალობით, ასოცირდებიან როგორც ე.წ. ინტელექტუალები, „არაორდინალურად„ და ე.წ. „დასავლურად„ მოაზროვნენი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პოზიციის მქონე ახალგაზრდებში, რომლებსაც „მამათა თაობის„ მიმართ ბუნებრივად აქვთ პროტესტის გრძნობა (თავის დროზე იგივე გვქონდა ჩვენც), გამოიწვევს მხარდამჭერთა რაოდენობის გაზრდას. მათ ეს ნიადაგი კარგა ხნის წინ მოსინჯეს, როდესაც თეა თუთბერიძე და მისი მსგავსი არსებები ტალახის სროლით ცდილობდნენ გარკვეული აგრესიის გამოწვევას, მაგრამ, საბედნიეროდ, საზოგადოებამ სწორად შეაფასა მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები და პროვოკაციას არ აჰყვა. ჩემი აზრით ახლაც ასე უნდა გაკეთდეს. საზოგადოებამ დარჩიაშვილებს, გვახარიებს, ნოდიებს დ.ა.შ. უბრალოდ უნდა დასცინოს და მეტი არაფერი, მაგრამ, სამწუხაროდ, საინფორმაციო ველს მთლიანად ისინი აკონტროლებენ. აკონტროლებენ და საზოგადოების „მოგუდული“ პროტესტი კვლავ რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. რჩება, რადგანაც საზოგადოებრივი მაუწყებელი, ერთადერთი ტელევიზია, რომელიც ხალხის ინტერესებს უნდა გამოხატავდეს (სხვები, ბუნებრივია, თავიანთი მფლობელების ინტერესების გამტარებლები იქნებიან), კვლავ ნაცბანდის ხელშია.

რადგან ტელევიზიებს შევეხე, „რუსთავი-2“-ის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზეც ვიტყვი ორიოდ სიტყვას. ბევრს არ ვილაპარაკებ, რადგანაც ამ თემის გარშემო ძალიან ბევრი იწერება და სასამართლოს გადაწყვეტილებამდე დამატებით რაიმეს თქმას აზრი არა აქვს.

უბრალოდ, მინდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლას ბერლინერის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოვეხმაურო. მან თავისი განცხადებით „რუსთავი-2“-ის და, ფაქტობრივად, ნაციონალური მოძრაობის მიმართ თავისი აშკარა მხარდაჭერა დააფიქსრა და შეკითხვაზე, ეს მისი პირადი პოზიცია იყო, თუ აშშ-ის მთავრობის, განაცხადა: **„ჩემს მიერ გაკეთებული განცხადება შეგიძლიათ მიიღოთ, როგორც შეერთებული შტატების ხელისუფლებისა და საელჩოს პოზიცია“.**

სწორედ ამ განცხადების შემდეგ გამიჩნდა ერთი შეკითხვა: რა აქვთ საერთო ნიკოლას ბერლინერსა და ვიქტორ ასტაფიევს და რა განსხვავებაა მათ შორის!

ბატონი ბერლინერის განცხადებას ჩემთვის ბევრი პატივსაცემი ადამიანის მხრიდან საკმაოდ აღშფოთებული გამოხმაურება მოჰყვა. ვეთანხმები მათს პათოსს, მაგრამ მინდა მათაც დავუსვა ერთი შეკითხვა, რომელსაც რატომღაც ყველამ გვერდი აუარა: — რატომ არ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა როგორც დიპლომატიური კორპუსის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საქართველოში განვითარებული, თუ ამჟამად მიმდინარე პროცესების ზუსტი ინფორმირების მიზნით, რადგანაც ამ მაგალითმა ნათლად გვაჩვენა, რომ ქართველ საზოგადოებას გავლენიან საერთაშორისო სტრუქტურებთან, ფაქტობრივად, არანაირი კომუნიკაცია არ გააჩნია და ეს ურთიერთობა მონოპოლიზებულია ყოფილი ხელისუფლების და დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფი მათი ლობისტების მიერ.

მსგავსი ვითარების დროს, რომლებიც არის და მრავლად იქნება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი განცხადებას აკეთებს საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური კურსის ინტერესების სრული გათვალისწინებით ზუსტად ისე, როგორც ითვალისწინებდა საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ვიქტორ ასტაფიევი. ხოლო მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ელჩის განცხადება ჩვენი ქვეყნისთვის ბევრად უფრო „სენსიტიურია“, ვიდრე „Ловля пескарей в Грузии“.

ძალიან სასაცილოდ ჩანს თორმეტი პოლიტიკური პარტიის მიერ, ოქტომბერში მოსალოდნელი პარლამენტის შუალედურ არჩევნების წინააღმდეგ გამოცხადებული ბოიკოტი. როგორც იცით, არჩევნები მარტვილისა და საგარეჯოს რაიონებში უნდა გაიმართოს. ბოიკოტის მონაწილე ოპოზიციური პარტიები მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ იმის გამო აკრიტიკებენ, რომ მან არ შეასრულა ის დაპირება, რასაც „ფართომასშტაბიანი საარჩევნო რეფორმის„ გატარების თაობაზე ოპოზიციაში ყოფნის დროს გასცემდა. **„სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ დაივიწყა საკუთარი პროექტი და ბოლომდე უგულებელყო მისი პრინციპები“,** — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში. **„2015 წლის გაზაფხულზე ხელისუფლებამ უპასუხოდ დატოვა ქვეყნის ყველა ოპოზიციური (საპარლამენტო და არასაპარლამენტო) პარტიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და პრეზიდენტის მიერ მხარდაჭერილი პროექტი საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ“. „რეალურად 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ მივიღეთ არა საარჩევნო რეფორმა, არამედ კიდევ უფრო ანტიდემოკრატიული საარჩევნო გარემო“,** — აცხადებენ ბოიკოტში მონაწილე პარტიები.

არადა, პოლიტიკური პარტიის არსებობის მთავარი დანიშნულება არჩევნებში მონაწილეობა და გამარჯვების მოპოვებაა. ეს აქსიომა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ირღვევა ერთი მარტივი მიზეზის გამო: **ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა არ წარმოადგენს იდეურ თანამოაზრეთა გაერთიანებას და წევრების სასაცილოდ მცირე რაოდენობა ჰყავთ.**

ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში ტელეეკრანებსა, თუ პრესის ფურცლებზე მოხვედრის ერთადერთი შანსი ბოიკოტის ხმამაღლა გამოცხადება და ამ ვითომდა პროტესტით საკუთარი არსებობის დაფიქსირებაა.

მოდით დავითვალოთ, თუ რამდენი წევრი ჰყავთ ბოიკოტის მომხრე 12 პარტიას საგარეჯოსა და მარტვილის რაიონებში და შევაფასოთ, თუ როგორი შედეგი ექნება ბოიკოტს. ასე რომ მსგავსი ბოიკოტი დაახლოებით იმას ჰგავს, რომ ფიზიკურად ძალიან სუსტმა ადამიანმა პრესის საშუალებით უარი განაცხადოს ძალოსნობის ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

ამ საკითხს თუ კიდევ უფრო ჩავულრმავდებით, იმასაც ადვილად დავინახავთ, თუ ვის წისქვილზე უშვებს წყალს ეს ე.წ. ბოიკოტი.

ბუნებრივია, რომ ნაცბიზნესმენები ყველანაირად შეუწყობენ ხელს სხვადასხვა პროდუქტზე ფასების მომატებას, დოლარის „მუთაქებში შენახვას“ და სხვა მაქინაციებს, რათა შემდგომ მიშა მაჭავარიანმა, „კურიერმა“, აკაკი გოგიჩაიშვილმა და სხვა „ექსპერტებმა“ „სტრელკები“ ხელისუფლებისკენ გადაიყვანონ.

ნაციონალური მოძრაობაც შეუერთდა ბოიკოტს და მისმა აღმასრულებელმა მდივანმა სერგო რატიანმა სპეციალურ ბრიფინგზე ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ რობერსპიერი საფლავში რამდენჯერმე გადაბრუნდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არ იღებს მონაწილეობას შუალედურ არჩევნებში და ივანიშვილის რეჟიმის დამარცხებას რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით გეგმავს ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების “ხელისუფლებაში მოსვლის 3 წლისთავზე სახეზეა ღრმა პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური კრიზისი. ქვეყნის არაფორმალური მართვა საფრთხეს უქმნის სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პერსპექტივას“, — განაცხადა რატიანმა.

არადა რეალურად თუ შევხედავთ სიტუაციას, იმ ერთკაციანი და კაცნახევრიანი „პარტიების“ მსგავსად არც ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს მხარდამჭერთა უთვლელი რაოდენობა.

მათ მიერ ჩატარებულმა აქციებმა, რომლებიც კვირების განმავლობაში ანონსდებოდა და ხალხის მოსაზიდად უამრავი მოპარული ფული იხარჯებოდა, ქართველ საზოგადოებას კარგად დაანახა მათი რეალური ძალა. აქციებზე ჩამოყვანილი ხალხის დიდი ნაწილი ხელისუფლების „შემაზანზარებელ“ შეკრებამდე დიდი ხნით ადრე გაქრა დისლოკაციის ადგილებიდან და თბილისში მყოფი ნათესავების თუ ლილოს ბაზრობის მოსანახულებლად გაიპარა.

ეს კარგად შეაფასეს ე.წ. „ნამდვილი ოპოზიციის“ ლიდერებმა და ბოიკოტის რეჟიმში გადასვლა ამჯობინეს, რადგანაც ამ პროტესტით უეჭველად შეეცდებიან (და მიაღწევენ კიდეც) თავიანთი ლობისტებისთვის გულის აჩუყებას და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოში მიმდინარე არადემოკრატიულ პროცესებზე მორიგი შეშფოთება-აღშფოთების მიღწევას.

ხელისუფლება კი, როგორც ყოველთვის თამარ ბერუჩაშვილის საგარეო აქტივობების იმედზეა და ამიტომაც... ეჰ, აღარ დავამთავრებ, თორემ ცუდ სიტყვებს არ დამიბეჭდავენ.

დაბოლოს ლარის კურსი, რომელზეც შეიძლება აღარაფერი ვთქვათ, რადგანაც გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს.

ლარის კურსის გაუბედურებასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებს სთხოვა, განმარტებები გაეკეთებინათ, რის შემდეგაც საკუთარი რეზიუმე წარმოადგინა.

„მე მქონდა საუბარი კოლეგებთან. ასევე ვიცი, რომ თქვენც გქონდათ კომუნიკაცია ბანკების წარმომადგენლებთან და ეროვნულ ბანკთან. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზე გვაქვს აბსოლუტურად გამოკვეთილი სპეკულაცია და აჟიოტაჟი. ეს არის ემოციურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი. მინდა მოსახლეობას მივმართო, რომ არ აყვნენ ემოციურ აჟიოტაჟს და როგორც ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა თქვა, დიდი შანსია იმისა, რომ თუ ისინი აჟიოტაჟს წამოეგებიან, ძალიან მალე დაკარგავენ უფრო მეტს, ვიდრე მოიგებენ. მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნოთ. ჩვენს ეკონომიკაში, მაკროეკონომიკაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, პირიქით, ეს ეტაპი გადავლახეთ“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საოცარი განცხადებაა. ნამდვილად საოცარი, რადგანაც თუ **სახეზე გვაქვს აბსოლუტურად გამოკვეთილი სპეკულაცია და აჟიოტაჟი,** რას აკეთებს ხელისუფლება?

თუ ხედავთ, რომ ვიღაც (მათ ვინც არ იცის, თუ ვის არის ეს „ვიღაც“, ვეტყვი, რომ ის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძეა), სპეკულაციას ეწევა და აჟიოტაჟს უწყობს ხელს, აღკვეთეთ ეს ანტისახელმწიფოებრივი ქმედება.

ფილმ „დარიკოს“ ერთ-ერთი მოხუცი გმირისა არ იყოს, თოფი თქვენ გაქვთ, ჩაფარი და ჯარი და ჩვენ ჯოხებით ვსდიოთ სპეკულანტებს და პანიკიორებს? არა, პრინციპში პანიკის ჩასახშობად შეგვიძლია, რომ სავალუტო ჯიხურებთან ჩავლის დროს რაიმე მხიარული სიმღერა, მაგალითად „ტრულაილას ფული რად უნდა“ შემოვძახოთ, ხოლო ეროვნულ ბანკთან „სემ სოროკი“ ვიცეკვოთ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ამით მდგომარეობას ვერ ვუშველით.

არადა, ადრეც ვწერდი, რომ საქართველოში ბიზნესის ის სეგმენტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ლარის კურსზე და ბევრ სხვა მნიშვნელოვან პროცესზე, დღესაც ნაცმოძრაობას ეკუთვნის („საქართველოს ბანკი“ და ფაქტობრივად, მთელი საბანკო სექტორი, გამაგრილებელი, თუ ალკოჰოლური სასმელები, სააფთიაქო ბიზნესი დ.სხვ.).

ბუნებრივია, რომ ნაცბიზნესმენები ყველანაირად შეუწყობენ ხელს სხვადასხვა პროდუქტზე ფასების მომატებას, დოლარის „მუთაქებში შენახვას“ და სხვა მაქინაციებს, რათა შემდგომ მიშა მაჭავარიანმა, „კურიერმა“, აკაკი გოგიჩაიშვილმა და სხვა „ექსპერტებმა“ „სტრელკები“ ხელისუფლებისკენ გადაიყვანონ.

მოკლედ რომ ვთქვა, საკმაოდ სასაცილო მდგომარეობაა საქართველოში. სასაცილო, სატირალი რომ არ იყოს და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ კოჰაბიტაციის რეჟიმი იმუშავებს!

გია გაბრიჭიძე

◎ რთველი-2015

რამდენს გაღაიხდის ყურძნის შემსყიდველი?

სამინისტროს განცხადებით, აგვისტოს თვეში მიყენებული ზარალის მიუხედავად, შარშანდელთან შედარებით ყურძნის კარგი მოსავალია. ნავარაუდევია რომ შარშანდელთან შედარებით, მოსავალი 30 პროცენტით მეტი იქნება. გასულ წელს სოფლის მეურნეობის მინისტრი იმედოვნებდა რომ 2015 წელს დარგს სუბსიდირება აღარ დასჭირდებოდა, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ღვინის ექსპორტი შემცირებულია (იანვარ-ივლისის მონაცემებით 51 პროცენტიანი კლება) და შესაბამისად, ღვინის მწარმოებელი კომპანიების მხრიდანაც ყურძენზე მოთხოვნა შემცირდა, საქართველოს მთავრობამ ყურძნის ღირებულების სუბსიდირების გადაწყვეტილება მიიღო.

წელს **სუბსიდირების თანხა რქაწითლის და კახური მწვანეს ჯიშის ყურძენზე 35 თეთრია, საფერავზე კი — 15 თეთრი. სახელმწიფო ყურძნის სუბსიდირებას იმ შემთხვევაში ახდენს, თუ შემსყიდველი 1 კილოგრამ ყურძენში არანაკლებ 1 ლარს გადაიხდის.** სიახლეა ის, რომ წელს სუბსიდიას მიიღებენ მევენახეები და არა ღვინის მწარმოებელი კომპანიები, როგორც ეს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხდებოდა. სამინისტროს თქმით, ამ პრინციპის უპირატესობა არის ის, რომ გლეხი თანხას უფრო მალე მიიღებს, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროცესის ადმინისტრირება უფრო გართულდება.

სუბსიდიის გაცემის წინაპირობას წარმოადგენს ყურძნის ჩაბარების თაობაზე ყურძნის ჩამბარებელსა და ღვინის კომპანიას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ყურძნის ჩამბარებელი და ღვინის კომპანია. გლეხი ჩაბარებული ყურძნის საფასურს, ყურძნის ჩაბარებიდან 15 სამუშაო დღეში „ლიბერთი ბანკის“ ფილიალებსა და სერვისცენტრებში მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღებს.

დამატებით, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიებისთვის შელავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში ღვინისა და სპირტის წარმოებისთვის იაფი სესხის გაცემა კვლავ გრძელდება.

ამ ეტაპზე უცნობია ყურძნის მოსავლის და სუბსიდიის სახით ბიუჯეტიდან გაცემული თანხის ოდენობა, გასულ წელს კი ყურძნის სუბსიდირებაზე ბიუჯეტიდან 12 მილიონი ლარი გამოიყო. მოსავალმა სულ 124, 606 ტონა შეადგინა, რაც 175 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების იყო. 2014 წელს მსოფლიოს 46 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 59 067 335 (0,75 ლ) ბოთლი შეადგინა, რაც 26%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2014 წელს ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგი იყო: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ბელარუსი და პოლონეთი, სადაც რუსეთი ექსპორტის მთლიან მოცულობაში ლიდერობდა 63 პროცენტით.

ღვინის ძირითად საექსპორტო ბაზრებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები დიდწილად განაპირობებს ამ საექსპორტო პროდუქციაზე მოთხოვნასა და ფასს.

ირინა გურული

◎ სტიქია

ვინ აუნაზღაურებს გლეხებს ზარალს?

ბოლო დღეებში საქართველოში მოსულმა ნალექმა და სეტყვამ გლეხების საკმაოდ დიდი ნაწილი დააზარალა. წელს ხელისუფლების პასუხი მოსახლეობისთვის გარკვეულია: მათ, ვისაც აგროდაზღვევის პროექტში მონაწილეობა არ მიუღია, ხელისუფლება დანაკარგს ვერ აუნაზღაურებს.

შეღავათიანი აგროდაზღვევის პროგრამა საქართველოში ერთ წლის წინ — 2014 წლის 1 სექტემბერს - დაიწყო. პროგრამის დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსახლეობისთვის საკუთარ დანაკარგებზე პასუხისმგებლობის უნარი ჩაენერგათ. ამ მიზნით სახელმწიფომ გლეხებს თუ ფერმერებს შემდეგი სქემა შესთავაზა: პროექტის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარი იყო; აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა ამ ეტაპზე სეტყვისგან, ჭარბი ნალექისგან, ქარიშხლისა და საშემოდგომო ყინვისგან მიყენებულ ზარალს ანაზღაურებდა; პროგრამის ფარგლებში, დასაზღვევად მიიღებოდა მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც წარდგენილია საკადასტრო კოდი, აზომვითი ნახაზი ან GPS კოორდინატები; **სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა 30 000 ლარი იყო,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში კი — 50 000 ლარი; პროგრამის ფარგლებში, აგროდაზღვევის სტიმულირების მიზნით, სადაზღვევო პრემიის დიდ ნაწილს (70 %-დან 90 %-მდე) სახელმწიფო დააფინანსებდა. ფერმერს თანადაფინანსების სახით პოლისის 10-დან 30 პროცენტამდე დაფარვა უწევდა.**

საწყის ეტაპზე აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთო 5 სადაზღვევო კომპანია: „ჯიპიაი ჰოლდინგი“ , „ალდაგი“, „აისი ჯგუფ“, „ირაო“ და „ქართუ“, თუმცა კომპანია „ქართუ“ პროგრამას მალევე გამოეთიშა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 2014 წელს აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 21 ათასზე მეტი პოლისი, დაზღვეულია 150 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 34 სხვადასხვა კულტურა 19 ათას ჰა. მიწის ფართობზე. მათივე ინფორმაციით, სტიქიით (სეტყვა, გვალვა, ქარიშხალი, წვიმა და ა.შ.) მიყენებული ზარალი ციფრებში შემდეგნაირად გამოისახება: დაზარალებული ადამიანების სავარაუდო რაოდენობა — 108 360, დაზიანებული ფართობები — 107 043 ჰა, მიყენებული ზარალი — 136 236 343 ლარი. აქედან, მარცვლოვნების დაზიანებული ფართობი შეადგენს — 63 695 ჰა-ს, მზესუმზირა — 9 516 ჰა, ლობიო — 384 ჰა, კარტოფილი — 3 194 ჰა, ბაღჩეული კულტურები 1 708 ჰა, ვენახი — 10 957 ჰა, ხეხილი — 1 595 ჰა, თხილი - 15 898 ჰა, კაკლოვნები — 79 ჰა, ფრინველი — 2 661 ფრთა და 95 ფუტკრის ოჯახი.

2015 წელს პროგრამის პირობები ნაწილობრივ გადაიხედა დაზღვეულის მეტად დატვირთვის კუთხით: პროგრამის ბიუჯეტი 2015 წელს უკვე 10 მილიონი ლარით განისაზღვრა. სახელმწიფო სუბსიდირება 2015 წელს 60 %-მდეა. ფრანშიზა დაითვლება რეალური მოსავლიანობიდან და, შესაბამისად, ვერ გადაფარავს ზარალის ოდენობას, თუ ზარალი ასცდა 10 %-ს. 2014 წლის პროგრამაში ფრანშიზა ითვლებოდა სადაზღვევო ლიმიტიდან, ხოლო ზარალი — რეალური მოსავლიანობიდან. შესაბამისად, დაზღვეულისთვის უფრო მომგებიანი პირობები იყო. სამინისტროში ამბობენ, რომ ეს უმეტეს შემთხვევაში ზარალის გადაფარვას იწვევდა. ზარალის შეფასების საერთო მეთოდი დაინერგა თითოეული კულტურის შესაბამისად, რაც მანამდე საერთოდ არ არსებობდა. კომპანიები პოლისების გაცემას შეძლებენ მხოლოდ აგროვადების შესაბამისად. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სუბსიდირებას განახორციელებს პოლისების შემოწმების შემდეგ.

საქართველოში ლიცენზირებულმა სადაზღვევო კომპანიებმა ისევ გამოთქვეს აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობის სურვილი. 2014 წლის პროგრამაში მონაწილე კომპანიებს დაემატა კიდევ ორი კომპანია: „არდი“ და „უნისონი“.

აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა ამჯერად შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს არა უმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში- არა უმეტეს 15 ჰა) ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. პროგრამით გათვალისწინებული მიწის ფართობის ოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება რეგისტრირებულ კოოპერატივზე. ამ შეზღუდვით სახელმწიფომ, მათივე განმარტებით, შედარებით მცირე მასშტაბის ფერმერებზე მოახდინა ფოკუსირება.

2015 წლის აგროდაზღვევის პროექტი 2015 წლის დეკემბერში მთავრდება და, შესაბამისად, 2015 წლის შედეგები სწორედ ამ დროისთვის დაითვლება.

ირინა გურული

◎ ალიან-ჩალიანი

ნეგბი რის საღღეგრძელოს სვამდნენ შეფერადებული ღვინით?

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ზუგდიდის ერთ-ერთ მარკეტში ფალსიფიცირებული ღვინის რეალიზაციის ფაქტი გამოავლინეს.

წითელი ნახევრადტკბილი ღვინო „ქინძმარაული“ლიტრიან მინის ტარაში, ჩამოსხმის თარიღი 20.05.2015) გამოსაკვლევად შპს „ღვინის ლაბორატორიას“ გადააგზავნეს.

„ლაბორატორიული კვლევით დადგინდა, რომ დასახელებული ღვინო შეიცავს ხელოვნულ საღებავებს და არ შეესაბამება „ტექნიკური რეგლამენტის - ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების შესახებ“ მოთხოვნებს, კერძოდ, ნიმუშში დარღვეულია ორგანოლეპტიკური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა მოიკვლიეს და დაადგინეს, რომ აღნიშნული ღვინო წარმოებულია ი.მ „შალვა სიპანაძის“ მიერ, რომელსაც დაევალა მავნე ღვინის ბაზრიდან გამოთხოვა. ღვინის განადგურებაზე ზედამხედველობას სააგენტოს წარმომადგენლები განახორციელებენ“.

საქმე შემდგომი რეაგირებისათვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

„საქართველოს რკინიგზა“ ტარიფებს ამცირებს

„საქართველოს რკინიგზის“ მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ადგილობრივ და საექსპორტო სატვირთო გადაზიდვებზე ტარიფები 20%-ით შემცირდა. ცვლილება შეეხო როგორც ადგილობრივ, ასევე ექსპორტის რეჟიმში მოქცეულ ყველა სახის მშრალი ტვირთის, როგორც სავაგონო, ასევე საკონტეინერო გადაზიდვებს.

ტარიფების შემცირება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ადგილობრივი წარმოების მოცულობების ზრდას, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე პოზიტიურად აისახება. ასევე, განაპირობებს გაყიდვების სამომავლო ზრდას, სარკინიგზო გადაზიდვების სექტორში.

29 აგვისტოს „ბორჯომობა“ აღინიშნება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, „ბორჯომობა“ წელს 29 აგვისტოს აღინიშნება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან აცნობეს, ტრადიციულ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება გაიმართება.

„მოეწყობა სოფლის კუთხეების ფანჩატურები, სადაც სტუმრებს შეეძლებათ, ქართული კერძები დააგემოვნონ. წარმოდგენილი იქნება ასევე ხალხური რეწვის ოსტატებისა და ადგილობრივ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ჯომარდობა მტკვარზე, მკლავჭიდი, ქართული ჭიდაობა, კოსტუმირებული ზღაპრის გმირების მსვლელობა-კარნავალი, თოჯინების თეატრი, სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების წარმოდგენა — ეს „ბორჯომობა 2015„ პროგრამის შემადგენელი ნაწილი იქნება. სახალხო დღესასწაულს ესტრადის ცნობილი მომღერლების მონაწილეობით გალა—კონცერტი დაასრულებს“,— განმარტავენ მუნიციპალიტეტში. მათივე ინფორმაციით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, დღესასწაულზე ბორჯომის ცენტრალურ პარკში ატრაქციონები უფასო იქნება. უფასოდ იმოძრავებს ასევე მუნიციპალური ტრანსპორტი ქალაქსა და სოფლებში.

ინტერპრესი

ლტოლვილობა ევროპაში

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობაზე მსოფლიო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სიმშვიდის საქმეში – რაოდენ სასარგებლო იქნებოდა კოლექტიური ორგანოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი აბობოქრებული მსოფლიოსთვის?! მაგრამ რა გაეწყობა – მსოფლიოში, სადაც ძალა უფრო ჭრის, ვიდრე ერთობლივი, კონსტრუქციული გადაწყვეტილება, სადაც პირველობას დახარბებული ქვეყანა არაფრად აგდებს მსოფლიო კოლექტიურ ორგანოს, ომისა და მშვიდობის საკითხები, ისე, როგორც უსაფრთხოება, შესაბამის დონეზეა.

არადა უშიშროების საბჭოს რომ აგრესიის ბლოკირების ბერკეტი და მისი დამრღვევი სახელმწიფოს უყოყმანო დასჯის შანსი ჰქონოდა, მსოფლიოში გაცილებით უსაფრთხო ცხოვრება იქნებოდა. მსგავსი პრაქტიკის არარსებობის გამო უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებიც კი, საკუთარი პოლიტიკური მიზნების (და არა მსოფლიოს) მისაღწევად, ისეთ ნაბიჯებს დგამენ, საყოველთაო მშვიდობას რომ ემუქრება.

მაგალითები ბევრია, მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, მაგრამ მოკლედ მაინც ვიტყვი – ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში, სირიაში დაწყებულმა ომებმა მძიმე შედეგი მოუტანა მსოფლიოს, როგორც ადამიანთა მსხვერპლის, ისე ნგრევის და რაც არანაკლებ შემაწუხებელია, იძულებით გადაადგილებულ პირთა სახით. ერთ წელზე მეტია, მიმდინარეობს აზია-აფრიკელთა შეტევა ევროპის ქვეყნებზე – გაუთავებლად, მიზანმიმართულად. ჯერაც არ ჩანს გულთმისანი, რომელიც ამოიცნობს პროცესის დასრულების დღეს, ვინაიდან ევროპისკენ დაძრულ აზია-აფრიკელებს, სამშობლოში, დასავლელთა მიერ ერთობ გაუსაძლისი პირობების შექმნის გამო, მეტი აღარაფერი დარჩენიათ, თუ არა იმათთან შეჭრა, ვინც მძიმე ყოფა არგუნა.

მდგომარეობა სავალალოა, თითქმის მოუგვარებელი, ლტოლვილთა ნაკადი სოლიდური, ხოლო პრობლემების წინაშე მდგარი ევროკავშირი – უაღრესად უსუსური. თვალი შეავლოთ ტელეკომპანიებს „BBC“-ს „Euronews“-ს სხვას და უპირველესად შეგვრჩება გატანჯული აზია-აფრიკელთა სახეები, შეხლა-შემოხლა საბერძნეთის, იტალიის, მაკედონიის, გერმანიის, ინგლისის, სხვა ქვეყნების სამართალდამცავებთან საზღვრების უკანონო გადაკვეთისას.

ეს, ის ლტოლვილებია, რომლებმაც უსაფრთხოდ გადმოცურეს ზღვა და პირველ ეტაპზე ევროპის სამხრეთის ოკუპაცია მოახდინეს. მაგრამ ყველას ბედმა არ გაუღიმა – 3500-ზე მეტი ადამიანი ხმელთაშუა ზღვამ შთანთქა.

საგონებელში ჩავარდნილი იტალიის პრემიერ-მინისტრი რენცი განგაშის ზარებს ტეხს - მიშველეთ, ამ რაოდენობის ლტოლვილებს იტალია ვერ დაიტევს, ევროკავშირზე გადავანაწილოთო.

ბრიუსელი დუმს. არ ისმის მისი ომახიანი ხმა, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინ, „ვაუკაცურად“ აუბა მხარი ოკეანისგადაღმელ პატრონს სირიის, ლიბიის, ერაყის წინააღმდეგ წამოწყებულ სამხედრო ავანტიურაში. მაშინ ოკეანის იქითაც და აქეთაც ზეიმი ჰქონდათ - სადამ ჰუსეინის, მოამარ კადაფის, ბაშარ ასადის წინააღმდეგ შეკრული კოალიციის წარმატებული სამხედრო ოპერაციების გამო.

პირველი ორი, სადისტურად მოკლეს, მესამეს კი ისე დაუნგრიეს ქვეყანა, მის აღდგენას 21-ე საუკუნეც ვერ შეძლებს. ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს – სუსტი ხელისუფლების, სამოქალაქო ომებისა და რელიგიური დაპირისპირების გამო. დასავლელთა დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა (ვინ იცის, იქნებ დაფიქრებულმაც) უმძიმესი პრობლემები შეუქმნა არა მარტო რეგიონს, არამედ კაცობრიობას. ამ ფონზე გამართლება იმისა, რომ სადამ ჰუსეინი და მოამარ კადაფი დიქტატორები იყვნენ და მათი იმქვეყნად გასტუმრებით მსოფლიომ ამოისუნთქა, ზედმიწევნით მიამიტური განცხადებაა.

ლიბია და ერაყი ის ქვეყნები იყო, სადაც წესრიგი, გამართული ეკონომიკა და სოციალური ყოფა სუფევდა. დღეს ისინი, განსაკუთრებით ლიბია, ქაოსის, გაუტანლობისა და სისხლის მატარებელი ქვეყნებია. ჰუსეინ-კადაფის მმართველობის დროს ამ ქვეყნების ეკონომიკაში მომუშავე უცხოელთა, განსაკუთრებით ევროპელთა წვლილი თვალშისაცემი იყო. მოსახლეობაც უდრტვინველად აგრძელებდა სამშობლოში ცხოვრებას და თავში აზრადაც არ მოსდიოდა ევროპაში წასვლა. თვით ევროპა იყო მათი სტუმარი, ცხადია, ფულის გასაკეთებლად.

დაინგრა ქვეყნები, დაინგრა ცხოვრება, ერთმანეთს წაკიდებულმა ლიბიელებმა, ერაყელებმა, სირიელებმა თავისთავად გაიჩინეს ლტოლვილობა სიცოცხლის გადარჩენის მიზნით და მოცურავენ ევროპისკენ საკუთარი სიცოცხლის ფასად. ხმელთაშუა ზღვა ძმათა სასაფლაოდაა ქცეული – ამბობს იტალიის პრემიერი რენცი.

გერმანიის კანცლერი მერკელი – გერმანული პედანტიზმით ბრძანებს – „მთელს აფრიკას გერმანია ვერ მიიღებსო“. უნდა მიიღოს, ვინაიდან მერკელი იყო პირველი, ვინც მხარი დაუჭირა ამერიკულ ანტილიბიურ ავანტიურას, ისე, როგორც დიდი ბრიტანეთისა და იტალიის ხელისუფლებამ.

დიახ! კარგი იქნებოდა, გაეროს უშიშროების საბჭოს რომ ისეთი ბერკეტები ჰქონოდა, იოლად აღეკვეთა აგრესია და თუ ეს მაინც მოხდებოდა, „პოსტფაქტუმ“ მაინც დაესაჯა აგრესიის გამჩაღებელი.

მიამიტური სურვილია, ვინაიდან მსოფლიოში, სადაც ჯერაც კი ყველაფერი „დიდობასა“ და „ძალაუფლებას“ ეფუძნება, აგრესორის „პოსტფაქტუმ“ დასჯა შეუძლებელია, რამეთუ სწორედ ის, „ძლიერი“ და „დიდია“ აგრესორი და არა „პატარა“ და „სუსტი“.

დიახ! ევროკავშირი გასაჭირშია არა მარტო ეკონომიკური სტაგნაციის, არამედ აზიელი და აფრიკელი ლტოლვილების გამო. ხუმრობა საქმეა წლევანდელი, თითქმის ნახევარმილიონი ლტოლვილის დაბინავება, რომ აღარაფერი ვთქვათ შარშანდელზე?!

რასა იქმს აშშ? არც არაფერს – ის შორს არის „ლტოლვილური“ ეპიცენტრიდან.

მედიაში გაჩნდა გაცოფებული ევროპელების ანტიამერიკული გამონათქვამები – ყველაფერი აშშ-მა დაგეგმაო. რატომაც არა?! თუ მსოფლიო ბატონობა გსურს, ისიც უნდა გსურდეს, რომ მოკავშირეს პრობლემები ჰქონდეს, თანაც ისეთი, კარგა ხანს რომ ეყოფა.

ევროკავშირი აშშ-ის მოკავშირეა, მაგრამ ამასთანავე ეკონომიკური მეტოქეც, რისთვისაც დაბალანსებაა საჭირო. აშშ მსოფლიო პოლიტიკის ის ლაბორატორიაა, სადაც მუშაობა არ წყდება. პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, ლაბორატორია გამუდმებით მუშაობს – ახალი იდეებისა და პროგრამების შესაქმნელად.

განსაკუთრებული ყურადღებაა მიპყრობილი ახლო აღმოსავლეთისკენ, ამ მართლაც პოლიტიკურად დაულაგებელი რეგიონისკენ. სწორედ, ის არის მსოფლიო არასტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი გენერატორი.

ეს, ის რეგიონია, სადაც ახალ-ახალი პროექტები იქმნება, შესაბამისი გადანაწილებით, რუკებით. თითქოს ძნელად წარმოსადგენია, სირიიდან ან ერაყიდან შორს, აშშ-ში შემუშავებული გეგმა, ამ ქვეყნების მომავალთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ერთის შეხედვით. სინამდვილეში, წარმოდგენაც შეიძლება და ვითომდა ვირტუალური პროექტის განხორციელებაც. ორი-სამი წლის წინათ სირიელი, ერაყელი ან სხვა იფიქრებდა მათ ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნას?! ვაშინგტონში იფიქრეს და არა მარტო ეს, არამედ ქურთებთან დაკავშირებითაც.

ამერიკელმა გენერალმა მაიკლ ჰაიდენმა, რომელიც ჯორჯ ბუშ უმცროსის დროს სპეცსამსახურებს ხელმძღვანელობდა, თავის „გულახდილობით“ ჩაგვახედა იმ პროექტებში, რომლებიც სპეცსამსახურების სამზარეულოში კეთდებოდა – „დიდ ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით“. **„ქურთები ჩვენი მოკავშირეები არიან და ასეთად დარჩებიან, ვინაიდან სურთ დასავლეთთან ალიანსი. თუ ჩვენ შევეცდებით ერაყ-სირიის აღდგენას, გავამწვავებთ პრობლემას.**

ისტორიულად, ოსმალეთის იმპერიის დროს, ერაყი სამ ვილაეთად იყო დაყოფილი – ქურთულ, სუნიტურ და შიიტურად. თანამედროვე გაგებით, ერაყი არ არსებობდა. ამ რეალობას გათვალისწინება უნდა“, – განაცხადა გენერალმა.

არავინ იფიქრებდა, რომ ისტორია დაბრუნდებოდა, რომ „ქურთისტანის“ საკითხი ისევ დადგებოდა დღის წესრიგში, ხოლო შექმნილი „ისლამური სახელმწიფო“ თურქეთის ინტერესებში იმოქმედებდა – გაყოფდა რა სირიაში და ერაყში ქურთულ ანკლავებს. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ამბობს, რომ არ დაუშვებს ქურთების ავტონომიის შექმნას მეზობელ სირიაში. თუმცა, მიუხედავად ანკარის სურვილებისა ერაყის, თურქეთის და სირიის ქურთები გაერთიანდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.

თვალი შევავლოთ საარქივო მასალებსა და თეირანში ინგლისის სამხედრო ატაშე სანდერსის მოხსენებით ბარათს, რომელიც 1923 წელს ეხება. „ჩვენი მიზანია, რუსეთის დანაწევრება, რათა იოლი იყოს მისი მართვა. სამხრეთში დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის შექმნა – საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტნის შემადგენლობით. საქართველო-სპარსეთს შორის უნდა შეიქმნას „ჩვენი“ პოლონეთი, დამოუკიდებელი ქურთისტანის სახით. ეს იქნება საფრთხობელა, როგორც სპარსეთ-თურქეთის, ისე ამიერკავკასიისთვის. მასში უნდა შევიდნენ თურქეთისა და სპარსეთის ქურთისტანი“.

1920 წელს აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრებთან გაჩნდა „წითელი ქურთისტანი“, მაგრამ მალევე გააუქმეს. მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინმა მოახერხა თურქეთის ნეიტრალიტეტი, თუმცა, მას ბოლომდე არ სჯეროდა ამის. მიზეზი – ამიერკავკასიის საზღვრებთან 30 თურქული დივიზიის განლაგება იყო.

თურქეთის საფრთხე, განსაკუთრებით 1942 წლის ზაფხულს შეინიშნებოდა, როდესაც გერმანიის არმია კასპიის ზღვისკენ მიიწევდა. კავკასიის თავდაცვა ძირითადად ირანის გავლით ხორციელდებოდა. სწორედ ამ გზით ხდებოდა ცენტრალური აზიიდან ჯარების კავკასიაში შემოყვანა.

ომის შემდეგ საბჭოთა ჯარმა არ დატოვა ჩრდილოეთი ირანი, რომელიც ძირითადად დასახლებული იყო ქურთებითა და აზერბაიჯანელებით. სტალინი შეუდგა ჩაფიქრებული პროექტის განხორციელებას. ირანის საზღვართან გაჩნდა ორი ავტონომია - აზერბაიჯანის დემოკრატიული და ქურთისტანის რესპუბლიკები. აღნიშნული ქვეყნების მთავრობები ჩამოყალიბდა ირანის კომპარტიისა და ქურთების მუშათა პარტიების ბაზაზე. მომავალში უნდა მომხდარიყო ორი აზერბაიჯანის ერთმანეთთან შეერთება, ხოლო ქურთისტანს უნდა მიერთებოდა ირანის, ერაყისა და სირიის ტერიტორიები.

ცნობილი საბჭოთა მზვერავი პავლე სუდოპლატოვი თავის მემუარებში წერს: **„ქურთების დახმარებით ჩვენ შეგვეძლო ხანგრძლივი დროის მანძილზე ნავთობის მომარაგებისგან გაგვეთიშა ახლო აღმოსავლეთში მყოფი ამერიკა-ინგლისის ჯარები. გარდა ამისა, იგეგმებოდა 1500-კაციანი ქურთული სამხედრო ბრიგადის შექმნა, რომელსაც უნდა დაემხო ერაყის მთავრობა. ამ აქტით სერიოზულ ზიანს მიიღებდა ინგლისი. მთელს ახლო აღმოსავლეთში ეჭვქვეშ დადგებოდა ერაყის, ირანისა და სირიის ტერიტორიებზე არსებული ნავთობსადენების მუშაობა. ეს ბერკეტი საბჭოთა კავშირზე ატომური თავდასხმის შემთხვევაში ამოქმედდებოდა. ამ შეთანხმებას ხელი ერაყის ქურთების ლიდერმა ბარზანიმ მოაწერა, იმ გარანტიით, რომ შეიქმნებოდა დამოუკიდებელი ქურთისტანი“.**

სტალინის იდეას, „დიდი აზერბაიჯანის“ თაობაზე, მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის კომპარტიის ლიდერმა ბაგიროვმა, მაგრამ სტალინმა უკუაგდო პროექტი, საბჭოეთის სამხრეთის საზღვრებთან „თურქული სარტყელის“ შექმნის შიშით.

რაც შეეხება ქურთების რესპუბლიკას - ის 1945 წელს შეიქმნა ირანში, მაგრამ მალევე მოახრჩვეს, ისე, როგორც მისი პრეზიდენტი კაზი მოჰამედი. 1946 წელს ირანის ხელისუფლებამ, ამერიკა-ინგლისის დახმარებით, ჯარი შეიყვანა ირანის ჩრდილოეთში და გაანადგურა აზერბაიჯანულ-ქურთული სეპარატიზმი. 1948 წელს ბარზანის სამხედრო ფორმირება ერაყიდან თურქეთის გავლით, გადაიყვანეს აზერბაიჯანში, შემდეგ უზბეკეთში.

ახლო აღმოსავლეთში, ქურთების სახელმწიფოს შექმნის ნაცვლად, შეიქმნა საბჭოთა ტერიტორიაზე ქურთების ავტონომიური ოლქის პროექტი, რომელიც ვერ განხორციელდა.

დღეს, ქურთების საკითხი კვლავ დღის წესრიგშია და ამ კარტს შესანიშნავად ათამაშებს დასავლეთი, ცხადია, არა ამიერკავკასიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთში. ქურთული პრობლემით სრულიად შეესაძლებელია თურქეთისთვის საგრძნობი პოლიტიკური რყევების მიყენება. თურქეთის მოსახლეობის ყოველი მეოთხე ადამიანი ხომ ქურთია?!

გეგმა ირანის ჩართვას და მისი დახმარებით კავკასიისკენ ნაბიჯის გადადგმას გულისხმობს. თურქეთი მოვლენათა უარესი განვითარების წინაშეა. მოვლენებს კი მისი სტრატეგიული პარტნიორი აშშ ავითარებს. ჯერჯერობით ამ მიმართულებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ქურთული მილიცია „პეშ მერგა“ უფრო აქტიურად იმოქმედებდა.

ჯერ არ ჩანს ვაშინგტონის „მწვანე შუქი“ – ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის, ამიტომაც „პეშ მერგა“ თავდაცვითაა შემოფარგული. მაგრამ სიგნალის მიღებისთანავე გაჩნდება ახალი სისხლისღვრა, ნგრევა და ლტოლვილობა – ესოდენ მძიმე ტვირთი ევროპისა და მსოფლიოსათვის.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ოდესელი ქურდები ლაჩრები არიან?

სააკაშვილი უკრაინაში დარჩენაზე რომ იყოს ორიენტირებული, სხვაგვარად იმოქმედებდა

„ოდესელი მიშკა“ – ახლა უკვე ასე უწოდებს სააკაშვილი საკუთარ თავს – პერმანენტულად გააქტიურდება ხოლმე და ოდესელების გაოცებასაც ახერხებს. იგი ხან იქაურ პატრულს ავარჯიშებს და საპატრულო მანქანის საბარგულში მოიკალათებს, ხანაც ოდესელ პროკურორებს მაგიდაზე ხელებს უბრახუნებს; ხან კი ოდესის სახელმწიფო ავიაციის ხელმძღვანელს მთელი ხმით უყვირის. არც კანონიერ ქურდებს ივიწყებს და ირწმუნება, რომ ოდესელი კანონიერი ქურდები პრაღაში მის მოსაშორებლად შეიკრიბნენ, თუმცა რატომ არ კლავენ, მისთვისაც გამოცანაა. ალბათ იმიტომ, რომ „ლაჩრები არიან“, – ასე ფიქრობს სააკაშვილი.

უსამართლობასთან მებრძოლის მანტიით შემოსილი ექსპრეზიდენტის ხილვა საქართველოში არავის უკვირს, თუმცა საინტერესოა, რა პროცესისთვის ემზადება ოდესის ოლქის გუბერნატორი, რომელიც პერიოდულად საქართველოსაც გადასწვდება ხოლმე?!

სულ ახლახან, სააკაშვილმა გაიხსენა, რატომ აუმხედრდა მას ქართველი ინტელიგენცია და რის გამო დაიმსახურა რობერტ სტურუას გულისწყრომა, რაც ბანალური მიზეზით ახსნა – ქართველმა რეჟისორმა მას თურმე მარიხუანის გამო დაჭერილი მეგობრის შვილის გათავისუფლება სთხოვა და ამიტომაც გადაეკიდა. სააკაშვილმა კი ამ ყველაფერში დამნაშავედ საბჭოთა ინტელიგენცია მიიჩნია, რომელიც საბჭოთა მეგობრულ-მაფიოზური კანონებით ცხოვრობდა...

რისთვის ემზადება სააკაშვილი და როდის გადაწყვეტს, კიდევ ერთხელ სარფის საბაჟოდან „ჩამოუქროლოს“ საქართველოს?! კვლავაც ქართულ პოლიტიკაში რეალიზებას უმიზნებს თუ ოდესის გუბერნატორობას სამომავლო ტრამპლინად განიხილავს, ოღონდ უკრაინის მასშტაბით?!

ექსპერტი არჩილ გამზარდია აცხადებს, რომ საქართველოში მშვიდ გარემოცვაში კონსტრუქციული არჩევის შანსი სააკაშვილს ნულოვანთან მიახლოებული აქვს. ამისთვის რაღაც თეორიული შანსი შეიძლება კიდევ არსებობდეს; ისევე, როგორც შეიძლება არსებობდეს შანსი, რომ 90-ე წუთზე, ათით ნულს როცა აგებ, გამარჯვების შანსი გქონდეს.

ექსპერტის თქმით, ოდესაში სააკაშვილის ასეთი „მოუსვენრობა“ განპირობებულია იმ სიძულვილით, რომელიც მას აქვს ქართველი ხალხისა და დღევანდელი ხელისუფლების მიმართ; ნაცმოძრაობა დღეს არჩევნებში გამარჯვებაზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ ცდილობს, მაქსიმალურად ხელი შეუშალოს ჩვენს ხელისუფლებას.

სააკაშვილიც დაახლოებით ამ რაკურსით მიდის და მისი ქცევები განპირობებულია არასრულფასოვნების განცდით, რათა იმ ადამიანებს მიაყენოს მაქსიმალური ზიანი, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან; არც ის ხალხი დაინდოს, ვინც იგი არ ისურვა – ანუ საუბარია ქართველ ერზე.

„ეს არის სარეკლამო ტრიუკები სააკაშვილის მხრიდან, რაც გვახსოვს საქართველოში მისი მეორე ვადით არჩევისას, როცა იგი დროზე ადრე გადადგა ხელისუფლებიდან. იმ პერიოდშიც ვნახეთ მისი საარჩევნო კამპანია, ზუსტად ამავე ფორმულით მუშაობდა და ჯართან თუ პატრულთან მიმართებით ტრიუკებს აწყობდა.

სავარაუდოდ, სააკაშვილი საკუთარ თავს დიდხანს არ მოიაზრებს არც უკრაინაში, რადგან ის საკმაოდ რთულ ადგილას არის; ის არ გაუშვეს უფრო სტაბილურ ადგილას გუბერნატორად, თანაც, ნეგატივი სააკაშვილის მიმართ უკრაინაში საკმაოდ დიდია. იმ პრინციპით, რომ დასაკარგი არ აქვს და საქართველოში მოჭრილი აქვს გზა, ცდილობს, ოდესაში გააქტიურებას, იქნებ, გაუმართლოს.

მაინც ვფიქრობ, სააკაშვილი უკრაინაში დარჩენაზე რომ იყოს ორიენტირებული, სხვაგვარად იმოქმედებდა. სავარაუდოდ, საკუთარ თავს არ აღიქვამს გრძელვადიან პერსპექტივაში უკრაინაში. სააკაშვილისთვის მსოფლიოში ნამდვილად მოიძებნება ადგილი, რადგან მასზე უარესებისთვისაც მოძებნილა ასეთი ადგილი. მრავალ ასპექტში ის ნიჭიერი ადამიანია და შეიძლება მისი რესურსის კარგად გამოყენება, მაგრამ მისი ფსიქოტიპი ისეთია, რომ თავისი რესურსებს მიღმა ხედავს საკუთარ თავს მთელ მსოფლიოში.

ის არ არის ხელწამოსაკრავი ფსიქოტიპი, მაგრამ ფსიქიკა ხელს უშლის, რომ მისი რესურსი, თუნდაც, სხვა ქვეყანამ კარგად გამოიყენოს. ის მაინც ახალგაზრდა კაცია და, თუ დროთა განმავლობაში გარკვეულ დასკვნებს გააკეთებს, შეიძლება, მსოფლიოში მისთვის კარგი ადგილიც მოიძებნოს. ის უნდა დაშორდეს იმ სიძულვილს, რაც ჩვენი ქვეყნის მიმართ გააჩნია და უნდა დაშორდეს განდიდების მანიას“, – აცხადებს არჩილ გამზარდია.

რაც შეეხება დასავლეთს ან აშშ-ს, ექსპერტი მიიჩნევს, რომ შტატებს აქვს ერთი უნიკალური თვისება, მან შეიძლება ფავორიტები გვერდზე გასწიოს, რაციონალურად მიუდგეს საკითხს და სააკაშვილისადმი სიმპათია სიმპათიის დონეზე დატოვოს. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა საქართველოს ახალი ხელისუფლება დასავლეთისთვის, ასევე საიმედო პარტნიორად ჩამოყალიბდა.

იურისტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის ბევრი რამ გასაგებია. საკუთარი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან და ახალი რეალობისადმი ადაპტაციიდან გამომდინარე, სააკაშვილი თავისი თავის წარმოჩენას ცდილობს ოდესაში, რაც ხელს შეუწყობს იქ დამკვიდრებაში.

იურისტი მიიჩნევს, რომ ექსპრეზიდენტმა მძიმე გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც სამართლებრივად მოსწყდა სამშობლოს და უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში მის პოლიტიკურ მომავალს საქართველოში ვერავინ წარმოიდგენს. არა იმიტომ, რომ ეს შეუძლებლის კატეგორიას განეკუთვნება, არამედ კანონი კრძალავს ამ ყველაფერს.

შესაბამისად, სააკაშვილი ცხოვრობს არა საქართველოთი, არამედ – პირიქით – მისი განვლილი ცხოვრების ეპიზოდების მოშველიება მას ახალ პოლიტიკურ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად სჭირდება.

„იგი ცდილობს, ძველი საბჭოთა გადმონაშთის წინააღმდეგ მებრძოლად წარმოაჩინოს თავი, რადგან სააკაშვილი მკვიდრდება იმავე პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში. წარსულის თვალსაზრისით, ბევრი რამ შეიძლება იდენტური იყოს ქართულ და უკრაინულ საზოგადოებას შორის, ოღონდ მასშტაბები განსხვავებულია. ასე რომ, სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას კი არ ცდილობს და მისი დღის წესრიგის ნომერ პირველი საკითხი საქართველო კი არ არის, არამედ საქართველოს თემატიკას იყენებს უკრაინული რეალობისთვის.

სააკაშვილმა ყველაზე კარგად იცის, რომ მისი პოლიტიკური კარიერის გაგრძელება საქართველოში შეუძლებელია. ზენაციონალური და სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებით მოთამაშის ამბიცია არა მგონია, გონივრული იყოს სააკაშვილისთვის. ამ ეტაპზე მისი ამოცანაა, რომ იქ, სადაც არის, წარმატებულად დამკვიდრდეს. სააკაშვილი როგორც „წარმატება“ – ამ ბრენდის დამკვიდრება ხელს შეუწყობს მის პოლიტიკურ აღმასვლას, უკრაინის პრემიერობა იქნება ეს თუ პრეზიდენტობა. ერთი კია, უკრაინის კანონმდებლობა გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს ახლად მიღებულ მოქალაქეობასთან დაკავშირებით“, – აღნიშნა ლევან ალაფიშვილმა.

მანანა ნოზაძე

◎ ... ვაი, სირცხვილო!

როდემდე, როდემდე?!!!

დილით, იალღუჯის გორაზე, სავარჯიშოდ ასულს ჩემი ძველი ნაცნობი, რუსთავში საყოველთაოდ ცნობილი შეფ-მზარეული კახელი გოგია შემხვდა.

– კაცო, ეგ რა თქვა იმ მინისტრმა, საბერძნეთში კრიზისია და იქიდან 16 მილიონ დოლარს ვერ მივიღებთო, იმ ჩვენ ქალ-რძალთა იქ ლამის მონებად, უცხოთა მომვლელებად მყოფთა ხელფასების იმედზე ყოფილა ჩვენი ქვეყანა, ლამის არის სირცხვილით დავიწვაო.

მინისტრის ინტერვიუ, წინა დღით, მეც მოვისმინე და ძალიან შევშფოთდი.

– ხუთ მილიონზე მეტ კაცს ინახავდა ჩვენი ქვეყანა, მარტო რუსთავს 44 სამრეწველო საწარმო ჰქონდა. დღეს რა გვჭირს იმ გასაცოდავებულ, დასნეულებულ, მოხუცთა მომვლელების იმედზე რომ უნდა იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტი? – არ მეშვება გოგია.

გული მეთუთქება, ჩემი შვილიც ხომ უცხოეთშია. გიუ, ფსიქიკურად აშლილ დედაბერს ემსახურება, პედაგოგი, მუსიკოსი, საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს მონატრული. მე აქედან ვანუგეშებ: ქვეყანა მალე ფეხზე დადგება, ჰა და ჰა, საცაა დაბრუნდები. ეს ჩვენი მდგრადი განვითარების ეკონომიკის მინისტრი კი შემოგვაპარებს საბერძნეთთან ერთად უკრაინაში, რუსეთშიც არეულობაა, კრიზისია, ჰოდა ბიუჯეტს ძალიან გაუჭირდებაო.

არადა, მინისტრობის განვლილი ორი წლის მანძილზე რა გააკეთა სამუშაო ადგილების შესაქმნელად, მრეწველობის ასაღორძინებლად, თუნდაც რუსთავის მეტალურგიული კომბინატის, ქვეყნის ინდუსტრიის ბურჯის ვიღაც მმართველების კლანჭებიდან დასახსნელად, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ასამოქმედებლად, ყველაფერი, ღმერთმა უწყის, რა ხარისხისა შემოგვაქვს თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

არადა, ორ მილიონამდე უცხოეთში სამუშაოდ გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეზე, მხოლოდ უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის გარდა რომ არავინ ფიქრობს, ეს ხომ მინისტრმაც გააცხადა.

ასე მიშიკოც იქცეოდა, ერთხელ ამერიკაში მომუშავე ჩვენებური გააბრიყვა, დაბრუნდით, ყველაფერი კარგად გვაქვსო, ისინიც, ენდვნენ, დაუჯერეს, ჩამოვიდნენ და...

მერედა ამისთვის ვიბრძოდით, ამისთვის ვწირავდით თავს 7 ნოემბერს, 26 მაისს თუ მთელი წლების განმავლობაში. ბოლოს და ბოლოს, სახალხო ხელისუფლება ხომ უნდა მოვიდეს!

მე ღარიბაშვილზე არ ვამბობ, ბატონი ირაკლი მეფე ერეკლესავით ცხელი გულის კაცია, მაგრამ გარემოცვა არ უვარგა, თითო-ოროლა მინისტრის გარდა, დანარჩენი მართლა უნიათოა, ამ სიტყვას რომ ნაციონალებს ვესესხები კი მრცხვენია, მაგრამ ფაქტი სახეზეა და...

თურმე სომხეთმა და აზერბაიჯანმა ჩინელ ბიზნესმენებს ფართოდ გაუხსნეს კარები. ჩვენს მეზობელს ქვეყნებში საოცრებები ხდებაო, ჩინელებს ჩვენთანაც უნდათ, მაგრამ თავს იკავებენო, არადა ჩინელის საქმე რომ ვიცით, ამაზე ჭოჭმანი ივარგებს?

ღმერთმა ზღაპრული, ედემ-ბაღნარი სამშობლო მოგვცა. მილიონები უდაბნოში შეძლებულად ცხოვრობენ. ჩვენ ამ წალკოტში გვაშიმშილებენ!... უცხოეთში საშოვარზე დღესაც ასობით თუ ათასობით ადამიანი, ამჯერად ახალგაზრდობა გადის.

არადა, მარტო სასმელი წყლის ბიზნესი ამოგვიყვანს გაჭირვებიდანო – აგერ, ცნობილი მეცნიერი პაატა გიორგაძე საშვილიშვილი საქმეს ეჭიდება, უკვე რამდენი წელია, უცხოელი მილიარდერი ინვესტორებიც რიგში დგანან, მაგრამ ვიღაც-ვიღაცები გასაქანს არ აძლევენ. არადა ამ ბიზნესის შესახებ ბატონმა ბიძინამაც იცის, ირაკლი ღარიბაშვილმაც. ეს რომ მოგვარდეს, ქვეყნის ბიუჯეტს წლიურად 12 მილიარდი დოლარი შემოუვა, 100 ათასი კაცი დასაქმდება საქართველოს ყველა კუთხეში, მთასა და ბარში, ქვეყანა აყვავდება, გამრავლდება, გაძლიერდება.

ჰოდა, მერე არც ის მინისტრი გვეყოლება, უცხოეთში გადახვეწილ ლამის მონებად ქცეულ ჩვენებურებს ხელებში რომ შეაჩერდება, რათა წვა-დაგვით ნაშოვნი ფულით ბიუჯეტი შეავსოს.

გივი ჯახუა.
რუსთავი.

P. S. არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ ვთქვა: ქვეყნის ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების მინისტრი ბატონი გიორგი კვირიკაშვილი თავის მინისტრობის ჟამს, ერთხელაც არ დაინტერესებულა, საქმიანი, საფუძვლიანი შეხვედრა გაემართა რუსთავის საინჟინრო პოტენციალთან, არადა რუსთავი ხომ საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი იყო და არის, ოღონდ მრეწველობა მოუკლეს ნაციონალებმა ყველაფერი გაყიდეს, გაანადგურეს.

არ ვიცი რა ვიფიქრო, რას ნიშნავს მთავრობის ეს გულგრილობა ჩვენი ქალაქის მიმართ.

გ.ჯ.

პროფესორი ტარიელ კვანჭილაშვილი (მარცხნიდან მეოთხე) სტუდენტებთან.

კალამი ძილის დროსაც სასთუმლად მედო...

პირდაპირ საქმით დავიწყებ და შემოგთავაზებთ ნაწყვეტს ჩემი პირველი საუნივერსიტეტო საკურსო „ნაშრომიდან“.

... იმ დღეს, მე და ჩემი ჯგუფელები, ზაურ სვანიძე და რამინ ჭელიძე, უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში შევხვდით ერთმანეთს. მათ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო გადაეშალათ და გატაცებით კითხულობდნენ. არ „შევაწუხე“, დარბაზის მეორე კუთხეში მაგიდას მივუჯექი და ჩემი ერთ-ერთი მოთხრობის გადაწერას შევუდექი. თითქმის ნახევარი საათი ვიჯექით ასე. გვერდით მაგიდაზე, მეორეკურსელი გოგონა აჩქარებითა და შრიალით ფურცლავდა წიგნს და რაღაცაზე ბუზღუნებდა. ეტყობოდა, ვერ აეწყო მეცადინეობა... მალე წამოდგა, შეკრიბა თავისი წიგნ-რვეულები და ჩქარი ნაბიჯებით ყველას ყურადღება მიიპყრო. ისეთი ლამაზი იყო, მეც თვალები გამექცა მისკენ...

რამინმა და ზაურმაც გააყოლეს მზერა მიმავალს!

მეც შემამჩნიეს!..

– ო,ო, შენა ხარ?... რატომ არ იყავი დღეს ლექციებზე?... გამოცდების ცხრილი გამოაკრეს ჯგუფში!.. არდადეგებიდან დაბრუნებულებმა კი, პირველ გამოცდებზე და პირველ არდადეგებზე შთაბეჭდილებები საკურსო ნაშრომად უნდა ჩავაბაროთ ბატონ ტარიელს! (ბატონი ტარიელ კვანჭილაშვილი ჟურნალისტიკის საფუძვლებს გვასწავლის!).

...კიდევ რამდენიმე ხანი მოვუნდი მოთხრობის გადაწერას... მოვრჩი და გასასვლელისკენ ავიღე გეზი.

– საით? – მომაძახა ზაურმა.

– რა ვიცი!... ჯერ ბინაში მინდა შევიარო, მერე კი... საჯარო ბიბლიოთეკაში ვიმეცადინებ!...– ვუპასუხე და მათაც შევთავაზე წამოსულიყვნენ.

უარი „მტკიცეს“!.

...მადლობა უფალს, პირველმა გამოცდამ წარმატებით ჩაიარა!

ლექტორებსაც კარგი შთაბეჭდილება შეექმნათ ჩვენს ჯგუფზე,- საკმარისად დაიწერა ხუთიანები!...

...16 იანვარს, კიდევ რამდენიმე ხუთიანი დაიწერა, მაგრამ ნაკლები!...

ოთხიანი ცუდი ნიშანი როდია, მაგრამ ხუთიანი გვერჩივნა, მართალი გითხრათ!... შემიძლია „გრიპს დავაბრალო“ ოთხიანის მიღება, და კიდევ... იმ რამდენიმე ჭიქა „ცოლიკაურს“, ზაურს, რომ გამოუგზავნეს ზოვრეთიდან და წინა ღამით ორგანიზმის „გასამაგრებლად“, რომ „მივასკდით“ მეგობრები.

...გამოცდების დამთავრებაც პატარა სუფრით აღვნიშნეთ! ახლა, კახური „საფერავით“ ავწიეთ პირველი გამოცდების პირველი სადღეგრძელო!

...და აი, 25-ში, მატარებელი მიმაქროლებს დასავლეთისკენ, სადაც, უკვე, მესამე წელიწადია არ ვყოფილვარ! ...ეეხ, სად არ ვაგროვებდი „შრომით სტაჟს“!

... ჯვარში დედის მშობლიური გული და აღმზრდელი მამიდას სიყვარულით აღსავსე სითბო მელოდებოდა.

... დილით, მატარებელი, თავისი გრუხუნ-გრიალით, ზუგდიდის რკინიგზის სადგურში შევიდა. აქ ვაგონებს ორთქმავალი შეაბეს და, ერთ საათში, ჯვარის ზენში შეჩერდა.

მგზავრებმა თანდათან იწყეს ვაგონებიდან გადმოსვლა. ქალები, როგორც ყოველთვის, ჭირვეულობდნენ ვიღაცაზე თუ, „რაღაცაზე“.

ყველაზე ბოლოს მე გადმოვედი. აისში მოსჩანდა სამეგრელო-სვანეთის შუბლ-ჭაღარა, ცამდე აწვდილი მთები, მათ ფერხთით კი, ჯერ ისევ მხრებგაშლილი მიღელავდა ენგური.

ეს ჩემი სოფელი იყო, ჩემი მშობლიური სოფელი, ჯვარი, რომელიც კოპწიად დავანებულიყო ენგურისა და მაგანას შესართავთან და ალერსითა და სითბოთი მეგებებოდა „ბრძოლის ველიდან“ დაბრუნებულს!

ცა მოწმენდილიყო. მხოლოდ ყვირას ულამაზესი მთის თავზე ჩანდა პაწაწკინტელა ნაგლეჯი ღრუბლის, თითქოს მელოტ თავზე დაეტოვებინა განგებას ერთი ბღუჯა თმა. ისიც ისეთი სპეტაკი იყო, რომ ძლივს თუ გაარჩევდი მწვერვალისგან.

ვიდექი და მშობლიურ მთებსა და სანახებს ვეტრფოდი!... პოეტობა მენატრებოდა!...

... ჯვარს უკვე ქალაქი ერქვა!

...ჯვარის ცენტრამდე სამიოდე კილომეტრია და ამ გზაზეც ავტობუსი ემსახურება მგზავრებს! ეს ვიცოდი, მაგრამ ავტობუსების სადგურს ვერ „მივაგენი“... კითხვისა მრცხვენოდა,– ვინმე ნაცნობი, რომ შემხვედროდა, რას იტყოდა?– „წავიდა ქალაქში და მშობლიური მხარე დაავიწყდაო!“

...როგორც იქნა, მივაგენი. უფრო ცენტრში აეშენებიათ ორსართულიანი, მშვენიერი ნაგებობა. ადამიანს ნამდვილად სიამოვნებას მოჰგვრიდა მისი ხილვა. პირველ სართულზე საბილეთო სალაროები და მოსაცდელი დარბაზი იყო. მეორეზე კი, რესტორანი.

...რადიომ გამოაცხადა:-„იყავით ყურადღებით, ავტობუსმა არ გაგასწროთ!“

...ავტობუსში ბევრი ნაცნობი შემხდა. როგორც თვითონ ამბობდნენ, თურმე, დავვაჟკაცებულვარ, და დამტყობოდა თბილისური იერი.

...ნაცნობებს შორის ჩემი სკოლის ლიტერატურის მასწავლებელი, ბატონი დავით ფიფია შემხვდა. გაუხარდა ჩემი ნახვა. მოეწონა, რომ ჟურნალისტიკა ავირჩიე პროფესიად და კიდევ ერთხელ რამდენიმე აღმზრდელობითი რჩევა მომცა.

...ავტობუსი შეჩერდა. არც ისე შორი, მოასფალტებული გზა შეუმჩნევლად გაილია.

ჩემი ოდა -სახლი ძველებურად გამოიყურება. ეზოში სიმშვიდე სუფევს. ჭიშკარი შევაღე. გახარებული ჩვენი მურა კუდის ქიცინითა და თვალებში ჩამდგარი სიხარულით შემომეგება, „ჩამეხუტა“, მკერდზე თათებით მომეალერსა, მერე ისევ ჩამოქვეითდა და კიბეებისკენ გაიქცა. აირბინა საფეხურები და დედაჩემს შვილის ჩამოსვლა ახარა.

მშობლიური სითბო და დედის გული შემომაგება ბაბუაჩემის ფუძემ.

დედაჩემის ჭაღარა დღეს შევნიშნე პირველად!

დედა-შვილი ოდაში შევედით. პალტო არც კი გამიხდია. მშობელმა ჩამსვა მამისეულ სავარძელში და ასე მეალერსებოდა დიდხანს. მის თვალებში ცრემლის მძივმა ააფეთქა მოზღვავებული სევდა. ეს სათნოებისა და სიხარულის ცრემლები იყო. ამ ცრემლებმა და სითბომ ლექსი დამაწერინა იმ დღეს...

მამიდაჩემი სახლში არ დამხვდა. მისი ცხოვრება სკოლა და მასზე ზრუნვა იყო და სკოლის დირექტორს შინ რა უნდოდა ამ დროს?! ...

...არდადეგები დამეწყო!...

მინდა ხვალიდან ჩემი სოფლის კუთხე-კუნჭულს მოვეფერო და ყური მივუგდო ენგურის გრიალს. როგორ ზანზარებენ კლდეები, როგორ ოხრავენ მყინვარები, როგორ გახვეულა ზეცის თაღი ენგურიდან ატყორცნილ ნისლში, როგორ გუგუნებენ მშენებელთა მანქანები...

...ადამიანები ბუნებას შეჭიდებიან. შფოთავს ენგური, მღერიან ჩანჩქერები და გაუგონარ ჰიმნს უგალობენ ადამიანებს, რომელთაც აქ, ენგურის ზვირთებში ძვირფასი განძი უპოვიათ.

...სვანეთისკენ ფართო გზა-სავალი გაუკვალავთ!

...მელოდება სვანეთი!... ოცნებაში მელოდება მსოფლიოს „გლობუსი“!... მელოდება ოთხი კონტინენტი... იქნებ, მეხუთეც!...

...აფეთქებები არ ცხრება!..

განცვიფრებული გაჰყურებს არეს ლაყორიას კოლხური ციხე-კოშკი!

...სად არიან ახლა ამ კოშკის ამაყი რაინდები, ჯვებე და ნოდარი? სად არიან ის ზღაპრული ოჩოკოჩები, რომლებმაც ისტორიის მეხსიერებაში აჩრდილად გაიქროლეს?

...დღეს ჯვებე და ნოდარის შთამომავლები ანცვიფრებენ ისტორიის ღარტაფებს.

...კოშკი კვლავ გაჰყურებს მიდამოს და იქნებ, ის ცეცხლი, რომელიც ენგურჰესელებმა დაანთეს ამ ვიწრო და ღრმა ტობარში, მტერთა შემოსევა ჰგონია ვინმეს, რისხვით აღმსდგარი!...

არა!... ეს შრომის ცეცხლია, ჩემო ძვირფასო მემატიანევ! ეს გუგუნია ეპოქის, ხმა კლდის წიაღში გამოკვეთილი!“ (13.2.1962 წელი.)

P. S.

— როგორ ფიქრობთ, როგორ შეაფასებდა ბროფესორი ამ ჩემს პირველ “ნაცოდვილარს“, რომლის შემოკლებული ნაწილიც ახლა შემოგთავაზეთ?

...„ნაშრომი“ ჯგუფის წინაშე ხმამაღლა წამაკითხა ბატონმა ბროფესორმა და მსმენელებს მოუწოდა, გამოთქვათ თავიანთი აზრი.

ჯგუფმა თავი გამოიდო!.. „ფილოსოფიურად“ „თბილად“ შეაფასეს ნაშრომი!.. ...და ბოლოს, ბატონმა ტარიელ კვანჭილაშვილმა მთელი სერიოზულობით ბრძანა:

— ...დიახ, ჩემო კარგებო!... ფიფიას ნამდვილად აქვს ნარკვევები თბილი დაუვიწყარი ადგილები და, მეტსაც გეტყვით,-ამ ემაწვილს, ჩემს საგანში დღეიდან ვთავისუფლებ საკურსო ნაშრომებისაგან... ეტეობა, წერა ემარჯვება! ...წერე, ჩემო მვირფასო, წერე!.. დამილოცნია შენთვის დიდი გზა ჟურნალისტიკაში!

ეს იყო ჩემი პირველი დიდი სტიმული და გზის დალოცვა! იმ დღიდან, ეს დიდებული ადამიანი, ტარიელ კვანჭილაშვილი, სამუდამოდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში, როგორც კეთილშობილი პიროვნება, უანგარო მამულიშვილი, სანიმუშო ბედბოგი და ჭეშმარიტი ქართული სულიერების მატარებელი!

და განა, მარტო ჩემთვის იყო იგი ახვთი? იგი გახლდათ სტუდენტებისთვის უფროსი მეგობარი და გზის გამკვლევი, სულის სიღრმეში პატრიოტული შემართების ამაგიზგიზებელი! ქართულ, უწმინდეს, ისტორიულ ადგილებში მახთან ერთად „დალაშქრული“ ბილიკებიც კი, ათმაგად გვაეკარებდა ჩვენს დედა-სამშობლოს!

...მას შემდეგ მრავალი წელი გადაგორდა!... რა თქმა უნდა, ვწერდი ენგურჰესზე, ვწერდი ჩემი ბავშვობის კიდე-განზე, ჩემს სამეგრელოზე, ჩემს სვანეთზე, ჩემს ჩქვალერზე, ჩემს კოლხეთზე, ჩემს საქართველოზე! ვწერდი მათ ჯირ-ვარამზე, მათ სიხარულზე, მათს ცრემლზე და სვედაზე. ვწერდი ნარკვევებს, რეპორტაჟებს, მოთხრობებს, ნოველებს, ლექსებს,რომელთა სტრიქონებში იკითხებოდა ავსტრალიისა და ევროპის სურნელი, სამხრეთ ამერიკის ჯუნგლები და პირველყოფილება, აფრიკული „სამსინი“ და აზიის სიბრძნე!

სვანეთს წიგნად ვუძღვრე, — „ჩანახატები სიმღერისათვის „სვანეთი“; აფახსთა და ქართველთა ტრაგედიას მივუძღვენი— „გოდება სანგრებთან“; მსოფლიო ომის არქივებიდან გავაცოცხლე გმირი ქართველი ახალი, ევგენია მაისურაძის „ჯვარცმული სიცოცხლე“; ეიფრინე გიორგი ბერიაშვილის ჰიდროთვითმფრინავებით და მასზე მოკრძალებული, პატარა წიგნი „გამოძერწე“,— „ცა, ზღვა და სმელეთი“. მერე, თბილისის ქუჩებისთვის მივანიჭებინე ევგენია მაისურაძისა და გიორგი ბერიაშვილის სახელები...

...ჩემს რაიონს მივუძღვენი ნარკვევების კრებული.

მამიდაჩემის, პისტი ფიფიას სახე ავსახე წიგნში „სიყვარულის ლეგენდა“: დედაჩემს ლექსებით მიეყვათუთე!.. ჩემმა კალამმა იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ეს კალამი ძილის დროსაც სასთუმლად მედო მუდამ. და ამ კალამმა მიმუშაკა შვიდი გამოცემული და ამდენივე გამოსაცემად გამზადებული წიგნი! და, ახვ მგონია, ოოველ მათგანში ბატონი ტარიელ კვანჭილაშვილის სიბრძნე და მადური დეკს!

...უფალო, მიბგე ბატივი მის სახელს!

ზაურ ფიფია

◎ ასტროლოგიური პროგნოზი

აქტიური პროცესები სექტემბერში

სექტემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 1, 5, 10-15, 19-22, 26-29 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტივობისა და დაძაბულობის გაძლიერება სოციუმში.

1 – მთვარის შეერთება ურანთან ვერძში. შესაძლებელია თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, თავის, სმენის ორგანოების, თვალების, კბილების დაავადებანი. დაავადებანი შეიძლება გაჩნდეს ორგანოების გადატვირთვის, საერთო გადაღლილობის, სტრესის, ან ფიზიკური ზემოქმედების გამო. სასურველია, უარი ვთქვათ აღმგზნებ საშუალებებზე, ალკოჰოლზე, ყავაზე, შოკოლადზე, ცხიმიან საკვებზე, ერიდეთ ტრავმატიზმს, დაცემებს, დარტყმებს, კონფლიქტებს, დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი. არ არის გამორიცხული გაუთვალისწინებელი სიტუაციები, ამიტომ დღეისათვის არ არის საჭირო, დავგეგმოთ საპასუხისმგებლო საქმეები და მივიდეთ

ხალხთა დიდი თავშეყრის ადგილებში.

5 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. შესაძლებელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. მეტად საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ძალების დაქვეითება, განწყობილების გაუარესება, ემოციური დატვირთვა. შესაძლებელია გაციება, სასუნთქი ორგანოების დაავადებანი, ტკივილები ხელებსა და მხრებში. სასურველია, შევამციროთ დატვირთვები, ვერიდოთ კონფლიქტებს, გავუფრთხილდეთ ნერვულ სისტემას. აუცილებელია სრულფასოვანი კვება, წყლის სმა და დროული დასვენება.

10 – მთვარის ვენერასთან და მარსთან შეერთება ლომში. შესაძლებელია გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა გამწვავება. არ არის გამორიცხული თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, არტერიული წნევის ვარდნები, ტკივილები ზურგის კუნთებში. უკიდურესად სახიფათოა გადატვირთვა, სტრესები, კონფლიქტები, გონებრივი გადატვირთვა.

12 – მთვარის შეერთება იუპიტერთან ქალწულში. შესაძლებელია ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებანი. კვების გადამუშავების სისტემის მუშაობის დარღვევა, მოწამვლა. რეკომენდებულია, გაუფრთხილდეთ ნერვულ სისტემას, ვერიდოთ სტრესებს, გადატვირთვას, გამოვიყენოთ მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტები, გამოვრიცხოთ მძიმე და ცხიმიანი საკვები.

13 – სავსე მთვარე, მზის დაბნელება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. სასურველია, უარი ვთქვათ ცხიმიან საკვებზე, ალკოჰოლზე, მოწევაზე, არ ჩაერთოთ კონფლიქტებში. დღეს შესაძლებელია ყველა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, უძილობა, განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ ნერვულ სისტემას, საკვების გადამუშავების ტრაქტსა და ღვიძლს, მივიღოთ ხარისხიანი პროდუქტები. ახალი საქმე უმჯობესია, არ წამოვიწყოთ.

15 – მთვარის შეერთება მერკურთან სასწორში. შესაძლებელია თავის ტკივილები. შარდგამომყოფი სისტემის, კანის დაავადებანი. ტკივილები წელში, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს თირკმლების დაავადებასთან. არაა გამორიცხული გაციება, ხელების რევმატიზმი. იყავით ფრთხილად გზებზე და ტრანსპორტში მგზავრობის დროს.

19 – მთვარის შეერთება სატურნთან მშვილდოსანში. შესაძლებელია ღვიძლთან, ნერვულ და სისხლის მიმოქცევის სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები. არ არის გამორიცხული რადიკულიტი და ვენების დაავადებანი, ოსტეოქონდროზის, ართროზის, ართრიტის გამწვავება, ტკივილები ძვლებსა და სახსრებში. განსაკუთრებით მენჯის მიდამოებში. უნდა ვერიდოთ ავარიულ სიტუაციებს. ვერიდოთ ტრავმებს, გაციებას, დიდ ფიზიკურ დატვირთვებს, ცხიმიან და მძიმე საკვებს, ალკოჰოლს, არ არის რეკომენდებული დავიწყოთ ახალი საქმეები და ავაგოთ გეგმები. ერიდეთ, არ ჩაერთოთ კონფლიქტებსა და დავებში.

21 – მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ორგანიზმი მაქსიმალურად აქტიურია, იზრდება სიცოცხლის ენერგია, საკვები კარგად აითვისება – შეიძლება მოიმატოთ წონაში. დღის გაზრდილმა ენერგიამ და ნერვიულობამ შეიძლება მიგვიყვანოს დავებთან და კონფლიქტებთან. შესაძლებელია რევმატიზმის გამწვავება, ტკივილები სახსრებში, სისხლძარღვებში, კუნთებში, ხერხემალში, აუცილებელია, გამოვრიცხოთ მძიმე ფიზიკური დატვირთვები, ვერიდოთ გაციებას, სახსრები გვქონდეს სითბოში.

22 – მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რქაში. შესაძლებელია სიცოცხლის ენერგის დაცემა. განწყობილების გაუარესება, ემოციური ტონუსის დაქვეითება. არ არის გამორიცხული ენდოკრინული და სექსუალური მოშლილობანი, ტკივილები შარდსადენ სფეროში. უნდა ვერიდოთ ტრავმატიზმს. გაციებას, დიდ ფიზიკურ დატვირთვებს, უარი ვთქვათ სიმძიმეების გადატანაზე. რეკომენდებულია სრულფასოვანი კვება, გასეირნება, ფიზიკური ვარჯიშები, გამწმენდი პროცედურები, შხაპი. კარგია, წესრიგში მოვიყვანოთ ბინა, გადავყაროთ უვარგისი ნივთები.

26 – მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზებში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, ნალექები. შესაძლებელია ფსიქიკურ სნეულებათა გამწვავება. დიდია კანის ალერგიულ, ინფექციურ დაავადებათა, შეშუპების, სისხლის მოწამვლის ალბათობა. შეიძლება გაჩნდეს ტკივილები ტერფებში ბებერების გამო, გაძლიერდეს ტკივილი სახსრებსა და ფეხის კუნთებში. რეკომენდებულია, არ გადავტვირთოთ ღვიძლი, დავიცვათ დიეტა, თავი შევიკავოთ ალკოჰოლისა და ყავისაგან. ერიდეთ ტრავმატიზმს, მცდარი გადაწყვეტილებების მიღებას და ფულის უაზრო ხარჯვას, მოტყუებასა და ქურდობას.

28 – სავსე მთვარე, მთვარის დაბნელება. შესაძლებელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, არტერიული წნევის ვარდნები, თავის ტკივილი, მშფოთვარე ძილი, არ არის გამორიცხული თავის, სახის, თვალების, ყურებისა და კბილების დაავადებანი. ერიდეთ, არ გადაიტვირთოთ გონებრივად და ფიზიკურად.

29 – მთვარის შეერთება ურანთან ვერძში. შესაძლებელია ძილის დარღვევა, თავის ტკივილები, შეიძლება გაჩნდეს თვალებთან, ყურებთან, კბილებთან და სახსრებთან დაკავშირებული პრობლემები. დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი. უარი თქვით ალკოჰოლსა და აღმგზნებ სასმელებზე, ნუ ჩაერთვებით კონფლიქტებში, ერიდეთ ტრავმატიზმს, დაცემას, დამწვრობასა და ჭრილობებს.

დედამიწის ზურგზე

პოლონეთში აღმოაჩინეს მესამე რაიხის დაკარგული მატარებელი, რომელსაც შეეძლო გადაეტანა 300 ტონა ოქრო

ქალაქ ვალბჟიხის მერმა ზბიგნევ ნოვაჩეკმა განაცხადა, რომ აღმოჩენა მოხდა ქალაქის „ადმინისტრაციული საზღვრების“ მიდამოებში. განძთმაძიებლებმა, რომლებმაც მატარებელი აღმოაჩინეს, მოითხოვეს ჯილდო ნანახის ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.

თურქეთში გარდაიცვალა 3 მოქალაქე, რომლებიც ზეიმზე პრეზიდენტის ჩამოსვლას ელოდებოდნენ

გურბანულლი ბერდიმუჰამედოვი რესტავრირებული სტადიონის გახსნის ზეიმზე უნდა გამოჩენილიყო დილის 8 საათისათვის, ამიტომ ხალხი იქ მირეკეს დილის ხუთი საათისათვის. შედეგად ისინი ელოდნენ პრეზიდენტს თითქმის 12 საათამდე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ხალხს არ შეეძლო არც ჭამა, არც სმა, არც ტუალეტში წასვლა. სიცხისაგან ბევრი გონებას კარგავდა.

საფრანგეთში სასამართლომ დახმარება დაუნიშნა ქალს, რომელსაც ანუხებს „ალერგია ელექტროხელსაწყოებზე“

მარინ რიშარს სახელმწიფო ყოველთვიურად გადაუხდის დაახლოებით 800 ევროს იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ამტკიცებს, თითქოს იტანჯება ჰიპერმგრძნობელობით ელექტრომაგნიტური ზემოქმედებისაგან. ხალხი, ვინც უჩივის ამ „დაავადებას“, განიცდის დისკომფორტს მობილური ტელეფონების, ტელევიზორებისა და სხვათა ყველგან არსებობისაგან.

უკრაინაში უშიშროების ქვეჯგუფი შერიგების შესახებ ხელშეკრულების შემდეგ 1 სექტემბრისთვის გააგრძელებს მოლაპარაკებას მინსკში

წინა დღით ბელარუსის დედაქალაქში დამთავრდა საკონტროლო ჯგუფის 3 ქვეჯგუფის შეხვედრები – ისინი განიხილავდნენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებს. მხარეებმა მოილაპარაკეს დონბასის მცხოვრებლების სითბოთი და წყლით მომარაგების შესახებ, მხარეები ასევე შეთანხმდნენ, დაუშვან წითელი ჯვარი პატიმრებთან, რომლებსაც სურთ, რომ შეუცვალონ ვადის ყოფნის ადგილი.

პოროშენკომ ხელი მოაწერა ბრძანებას „უკრაინის ინტერესების დაცვის შესახებ“ ყირიმის ტერიტორიაზე

დოკუმენტში საუბარია გადაუდებელი ზომების მიღების შესახებ „იმ ზარალის ანაზღაურებისათვის, რომელიც დროებითმა ოკუპაციამ განიცადა უკრაინის ტერიტორიაზე“. პრეზიდენტი გვთავაზობს, „შემოღებული იქნეს ზარალის ოდენობის დაზუსტების განხორციელება მუდმივ საფუძველზე, რომელიც გამოიწვიეს საკუთრების უფლებათა რეალიზაციის დაბრკოლებებმა და უკრაინის ქონებრივ უფლებათა დარღვევებმა ყირიმის ტერიტორიაზე“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მამაკაცმა ცეცხლი გაუხსნა და დანა გამოიყენა: დაიღუპნენ პოლიციელები და ერთ-ერთი ქალაქის მერის და

მამაკაცმა დანით ჭრილობა მიაყენა 2 ქალს, მათ შორის თავის ცოლსაც, შემდეგ გაუხსნა ცეცხლი ადგილზე მისულ პოლიციელებს. ბოროტმოქმედი გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაიბლოკა გასამართ სადგურზე, რის შემდეგაც დააპატიმრეს. თავდასხმის შედეგად 2 კაცი დაიღუპა.



◎ ჭიდაობა

მეორე დღეს „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ

სარაევოში დამთავრდა ჭაბუკ „კლასიკოსთა“ მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვეს. „ოქრო-ვერცხლზე“ გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ: კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სართიჭალელი აივენგო რიკაძე (63 კგ) ავიდა, რომელიც თანატოლებში ევროპის ჩემპიონიცაა. კონტინენტის პირველობის მესამეადგილოსანმა ხობელმა ნუგზარ წურწუმიამ (54) „ვერცხლი“ დაიმსახურა. ასპარეზობის ბოლო დღეს მედლების კომპლექტი სართიჭალელმა ნიკოლოზ ჭიკაიძემ (69) შეავსო: სტარტზე მან უნგრელ მორის კისმონს აჯობა – 3:1, მეორე წრეში პოლონელ ნორბერტ დასკიევიჩთან 1:2 დამარცხდა, დამამშვიდებელში სამი მეტოქე დაჯაბნა – ეგვიპტელი ელსაიდ გლისადი – 3:0, ირანელი შაიან აფიფი – 8:5 და უზბეკი აბუდაკრ ალიმოვი – 2:1, რაც მესამე ადგილისთვის საკმარისი აღმოჩნდა. კვარცხლბეკზე ასვლის შანსი ვერ გამოიყენა ევროპის წლევანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა, ბორჯომელმა თემურ ჭკუასელიძემ (76). იგი ძირითადი ბადის პირველივე პაექრობაში დამარცხდა უკრაინელ დმიტრო კილაშოკთან, რომელმაც მერე ჩემპიონობა მოიპოვა. ჭკუასელიძემ დამამშვიდებელში ბულგარელ სვეტოსლავ ნიკოლოვს აჯობა – 12:6, მესამე ადგილისთვის პაექრობა კი რუს ასტემა ბარაგუნოვთან 9:10 დათმო და მე-5 ადგილს დასჯერდა.

გივი გაგუა

სურათზე: ნიკოლოზ ჭიკაიძე.

◎ ჩოგბურთი

წარმატებული სტარტები

მსოფლიო საკლასიფიკაციო რეიტინგით 97-ეა თბილისელი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც აშშ-ს ღია პირველობაში მონაწილეობს. საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე მან რეიტინგით 218-ე ესპანელი მეტოქე ორიოლ როკა ბატალია 55

წუთში დაამარცხა – 6:2, 6:4 და მეორე წრეში გავიდა, სადაც მიტჩელ კრიუგერს (აშშ) შეხვდება. საკვალიფიკაციო ეტაპის დასაძლევად და მთავარ ბადეში მოსახვედრად ბასილაშვილს კიდევ ორი წრე აქვს გასავლელი.

* * *

თბილისელმა სოფიო შაფათავამ რუმინულ მამაიაში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი ტურნირის ერთეულთა თანრიგის სტარტზე მოლდოველ ალექსანდრა პერპერს აჯობა – 6:2, 6:3, წყვილებში კი რუს ანასტასია კამარდინასთან ერთად ნახევარფინალში გავიდა. ქართულ-რუსულმა დუეტმა მეოთხედფინალში რუმინელები – ნიკოლეტა დასკალუ და ქრისტინა ენე ჩამოიშორა გზიდან – 6:2, 6:1.

* * *

მარიამ ბოლძვაძე დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ასპარეზობს. მან უკვე სამი შეხვედრა მოიგო: ორი მეტოქე (ბრიტანელები - კამილა ანდერსონი – 6:2, 6:1 და მანიშა ფოსტერი - 6:0, 6:0) საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩამოიშორა გზიდან, ხოლო ძირითადი ბადის პირველ წრეში ეკატერინა იაშინას (რუსეთი) მოუგო – 6:1, 6:2.

ლაშა დიდია

◎ ლეგიონერი

ვაჩიბერაძემ „ბეტისთან“ 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა

ბეძა ვაჩიბერაძე, რომელიც უკრაინის მოქალაქეა, კარიერას ესპანეთის პრიმერა დივიზიონის სევილიის „ბეტისში“ გააგრძელებს. ამის შესახებ ესპანური ავტორიტეტული გაზეთი Marca იუწყება.

19 წლის ქართველი ფეხბურთელი დონეცკის „შახტარიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა და ანდალუზიელებთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ მხარეების სურვილის შემთხვევაში კონტრაქტი ერთი წლით გახანგრძლივდება.

Marca-ს ინფორმაციით, ვაჩიბერაძე ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება, რომელსაც ლონდონის „ჩელსი“ და პორტუგალიის „პორტუც“ აკვირდებოდნენ.

წელს ჩატარებულ ახალგაზრდულ ჩემპიონთა ლიგაში მან 3 გოლი გაიტანა და „შახტარის“ 19-წლამდელებთან ერთად ტურნირის ფინალში ითამაშა, სადაც უკრაინელები ლონდონის „ჩელსისთან“ 2:3 დამარცხდნენ.

თავდაპირველად ვაჩიბერაძე „ბეტისი B“-ში ითამაშებს, რომელსაც ხუან მერინო წვრთნის, რათა ახალ კლუბში ადაპტაცია გაიაროს.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

კიდევ ერთი მშვენიერი ლიმა

ბრაზილიელი მკერდ-ბარძაყდალოცვილი მოდელი ალინა ლიმა მიუხედავად იმისა, რომ უკვე ნამეტნავად პოპულარულია როგორც სამშობლოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, მაინც ხშირად ეშლებათ მის თანამემამულე და თანამოგვარე ცნობილ მოდელ ადრიანა ლიმაში.

აქ, ბუნებრივია, საუბარი არაა გარეგნულ მსგავსებაზე, რადგან ორივე ასული ინდივიდუალური სილამაზით გამოირჩევა. უბრალოდ, ადრიანა ლიმას პოპულარობამ უკვე იმდენად გაიდგა ფესვი, რომ საკმარისია მოდელის პროფესიის პარალელურად გვარი ლიმა ახსენო, რომ გინდა თუ არა, სწორედ ადრიანასთან კეთდება ასოციაცია.

ამ დროს ალინა ლიმა უკვე ის ქალია, რომელსაც ტრფობა და მკერდთა დატოლება ქალთა გულთამპყრობელმა, პორტუგალიელმა ფეხბურთელმაც კრისტიანუ რონალდუმაც კი სთხოვა, მაგრამ ალინა ლიმასგან ცივი უარი მიიღო, რაც, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის მხრიდან დიდ თვითშეფასებაზეც მეტყველებს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ვარსკვლავეთი

ნიკი ლაუდა: ჰამილტონი დაუმარცხებელია

„მერსედესის“ აღმასრულებელი დირექტორი ნიკი ლაუდა ამბობს, რომ ამ ეტაპზე ლუის ჰამილტონი პრაქტიკულად დაუმარცხებელია და თუ შეცდომებს არ დაუშვებს, მაშინ ნიკო როსბერგს ჩემპიონობის არანაირი შანსი არ აქვს. ეს განცხადება ლაუდამ მას შემდეგ გააკეთა, რაც ბელგიის ეტაპზე ჰამილტონმა ამ სეზონში მეათე პოული და მეექვსე გამარჯვება მოიპოვა.

ამჟამად ჰამილტონი როსბერგს მხოლოდ 28 ქულას უგებს, ეს კი არაფერია, რადგან საკმარისია ჩემპიონის ერთი დაუსრულებელი რბოლა და როსბერგს დაწევის რეალური შანსი მიეცემა. თუმცა მთავარი აქ ისაა, რომ ტრასაზე ბრიტანელი შეუდარებელია და არ ჩანს იმის შესაძლებლობა, რომ როსბერგი მის დამარცხებას შეძლებს. მით უმეტეს, ბოლო დროს გერმანელს სტარტი აღარ გამოსდის, რაც რბოლას ურთულებს.

„ამ მომენტში ისე ჩანს, რომ ჰამილტონის დამარცხება შეუძლებელია. ის უსწრაფესია პრაქტიკებზე და კვალიფიკაციებზე, რბოლაში კი წარმოუდგენელ შესაძლებლობებს ავლენს. ის დაუმარცხებელია. ამ რბოლამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თუ შემდგომ რბოლებში ლუისი შეცდომებს არ დაუშვებს, ნიკოს მისი დამარცხება ძალიან გაუჭირდება“, – ბიბისი-სთან საუბრისას განაცხადა ლაუდამ.

ის დასძენს, რომ რბოლებში შეცდომები ყველას მოსდის. ამასთან, დარწმუნებულია, რომ როსბერგი უბრძოლველად არაფერს დათმობს. კითხვაზე, ასეთი სიტუაცია ჰამილტონის პროგრესმა გამოიწვია თუ როსბერგის ფორმიდან ამოვარდნამ, ლაუდა პასუხობს: „ლუისმა აშკარად მოუმატა, რაშიც ეჭვის შეტანაც არ ღირს. ნიკო თავდაუზოგავად იბრძვის, მაგრამ ლუისი ახლა სულ სხვა დონეზეა. ვფიქრობ, ის აქ დაუმარცხებელი იყო“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ პატივგება

განცხადება უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ვოლსკი** უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 30 აგვისტო უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღეა, ხოლო 2003 წლიდან ეს თარიღი საქართველოში ოფიციალურად აღინიშნება.

„30 აგვისტო კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ გაუსაძლის ტკივილს, რასაც ასეულობით ოჯახი განიცდის შინმოუსვლელი ახლობლების გამო.

1990-იანი წლებში მიმდინარე პროცესებისა და 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად საქართველოში 2000-ზე მეტი კაცია გაუჩინარებული. მათი ოჯახის წევრებმა დღემდე არ იციან, რა ბედი ეწია მათ ახლობლებს. უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ქართველი, აფხაზი და ოსი დედები, მეუღლეები თუ შვილები ცოცხლობენ იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან შეიტყობენ სიმართლეს დაკარგული ოჯახის წევრებზე.

გვსურს, კიდევ ერთხელ გავიზიაროთ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების მწუხარება და დავადასტუროთ ჩვენი მზადყოფნა იმის შესახებ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად. ვუსამძიმრებთ როგორც ქართველ, ისე აფხაზ და ოს ოჯახებს ძმათამკვლელ ომებში გაუჩინარებული სიცოცხლეების გამო.

კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებას საქართველოში 20-წლიანი ისტორია აქვს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ღვაწლი და შრომა, რომელიც დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის წევრების მიერ შექმნილმა ფონდმა „მოლოდინმა“ გასწია ომში დაკარგული მებრძოლების მოძიების საქმეში. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია 1996 წელს დაარსებული სახელმწიფო კომისიის წევრებისა თუ ცალკეული პიროვნებების ძალისხმევა, რის შედეგადაც თავის დროზე 250 ადამიანის ნეშტი დაიკრძალა სათანადო პატივით.

ათწლიანი პაუზის შემდეგ, 2013 წლიდან საერთაშორისო წითელი ჯვრის დახმარებითა და აფხაზურ მხარესთან განახლებული მოლაპარაკებებისა და მიღწეული შეთანხმების შედეგად შესაძლებელი გახდა, სოხუმში „დიდების მემორიალთან“ არსებული და 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერას აეროპორტში დაღუპული მებრძოლების სამარხების ექსჰუმაცია. დღეისათვის გადმოსვენებულია 31 ნეშტი, უახლოეს პერიოდში კიდევ 21 მებრძოლი დაიკრძალება მშობლიურ კუთხეში.

ესოდენ მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული დახმარებისათვის ჩვენი კოლეგების სახელით კიდევ ერთხელ გვსურს, მადლობა მოვახსენოთ „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს“, ევროკავშირსა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს.

ასევე გამოვხატავთ მადლიერებას აფხაზური მხარის მისამართით: რომ არა მათი კონსტრუქციული და ჰუმანისტურლი მიდგომა ამ მეტად ფაქიზი საკითხისადმი, საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ნეშტების გადმოსვენება ვერ მოხერხდებოდა. პოლიტიკურ პოზიციათა სხვაობის მიუხედავად, ჩვენ ყველა - სოხუმშიც, ცხინვალშიც, თბილისშიც, - უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ მუდამ არსებობდა და კვლავაც იარსებებს ისეთი მარადიული ფასეულობები, როგორიცაა დაკარგული შვილის მომლოდინე მშობლის პატივისცემა და მომავალი თაობების უსაფრთხოება.

მივესალმებით ურთიერთგაგებას პროცესის მონაწილე მხარეთა შორის და ვიმედოვნებთ, რომ მუშაობა ამ მიმართულებით კვლავაც გაგრძელდება.

გვინდა მხარდაჭერა გამოვუცხადოთ საზოგადოებრივ ორგანიზაცია „მოლოდინს“, რომელიც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით ამ დღესთან დაკავშირებით ღონისძიებებს გამართავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და საშუალებას მოგვცემს, ჩვენი თანადგომით ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ ტკივილი საომარ მოქმედებებში დაღუპულთა ახლობლებს.

ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება: თბილისში, 14:00 საათზე, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (სამების საკათედრო ტაძარი); 17:00 საათზე — დიღმის ძმათა სასაფლაოზე;

მარტვილში, 14:30 საათზე, — მარტვილის მონასტერში;

მცხეთაში, 13:00 საათზე, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

გვჯერა, რომ საქართველოს საზოგადოება კიდევ ერთხელ გამოავლენს სოლიდარობისა და თანადგომის მაგალითს და პატივს მიაგებს დაღუპულთა ოჯახებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

ეპიტაფია

წარუშლელი სახელი

აკადემიკოს ვახტანგ ჭიჭინაძის ხსოვნას

გარდაიცვალა ქართული სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი ვახტანგ ჭიჭინაძე, რომელსაც 23 სექტემბერს 97 წელი შეუსრულდებოდა.

ვახტანგ ჭიჭინაძე დაიბადა 1918 წლის 23 სექტემბერს ქ. თბილისში. მამა — კონსტანტინე ჭიჭინაძე ექიმი გახლდათ, დედა — ალექსანდრა გოცირიძე — დიასახლისი.

ბატონმა ვახტანგმა 1936 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საცდელი-საჩვენებელი სკოლა. იმავე წელს იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ბატონი ვახტანგი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

იგი სრული ორი წელი თავდადებით იბრძოდა სამამულო ომის ფრონტზე.

ბატონმა ვახტანგმა 1949 წელს წარმატებით ჩაბარა გამოცდები საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ავტომატიკისა და ტექნიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1952 წელს, მოსკოვში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1952 წელს ბატონი ვახტანგი დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა გააგრძელა ენერგეტიკის ინსტიტუტში.

1956 წელს ბატონი ვახტანგი გადაიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად დაარსებულ ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების) ინსტიტუტში. იგი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. სწორედ ამ ორი პიროვნების ძალისხმევით, ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი საქართველოში.

1968 წელს ბატონმა ვახტანგმა მოსკოვის მართვის პრობლემების ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც ძირითადად, მართვის თოეორიის ოპტიმალური ამოცანების გადაწყვეტის ახალ მეთოდს მიეძღვნა. 1968 წლიდან იგი პროფესორია.

1971 წელს ბატონი ვახტანგი დაინიშნა ყოფილი საბჭოთა კავშირის ელექტრონული მრეწველობის დაქვემდებარებაში მყოფ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის“ დირექტორად, სადაც მან სამი წელი იმუშავა. ამ პერიოდში განსაკუთრებით წარმოჩინდა ბატონი ვახტანგის ორგანიზატორული ნიჭი.

1972 წელს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ჭიჭინაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1974 წელს ბატონი ვახტანგი გადაიყვანეს საქართველოს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ.

1978 წელს იგი საკუთარი სურვილით სამუშაოდ გადავიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში მანქანური დაპროექტების განყოფილების გამგედ.

1982 წელს ბატონი ვახტანგი დაბრუნდა თავის მშობლიურ ინსტიტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში დირექციის მრჩევლად. 2006 წლიდან კი იგი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.

1983 წელს ბატონი ვახტანგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

ბატონი ვახტანგის სამეცნიერო ინტერესების სფერო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. სამეცნიერო ასპარეზზე მისი მოღვაწეობა, თუ არ ჩავთვლით საკანდიდატო დისერტაციებზე მუშაობას, ძირითადად სამ პერიოდს მოიცავს. პირველ ეტაპზე, მან, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა, შეისწავლა მართვის სისტემებისა და დანადგარების მანქანური დაპროექტების განხორციელების შესაძლებლობა, რის შედეგადაც შემუშავებულ და პრაქტიკულად რეალიზებულ იქნა სპეციალიზებული გამომთვლელი მანქანა - ჰომეოსტატი, რომელიც შემთხვევითი ძებნის საფუძველზე ახორციელებდა მართვის ახალი სისტემების დაპროექტების პროცედურას. აღნიშნული სამუშაო მან 1960 წელს წარადგინა IFAC-ის I მსოფლიო კონგრესზე ქ. მოსკოვში. 1962 წელს ბატონი ვახტანგი ქ. რომში საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამოვიდა მოხსენებით, რომელიც ეხებოდა მართვის ოპტიმალური და ადაპტაციური სისტემების პრობლემებს. 1964 წელს იგი ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ცენტრებსა და პრობლემურ ლაბორატორიებში ლექციების წასაკითხად ოფიციალურად მიიწვიეს.

ბატონი ვახტანგის სამეცნიერო მოღვაწეობის მეორე პერიოდი მიეძღვნა ოპტიმალური პრობლემების გადაწყვეტის სრულიად ახალი, ორიგინალური მათემატიკური მეთოდის შექმნას. მან შეიმუშავა ცნობილი ψ — გარდაქმნის მეთოდი, რომელიც გლობალური ექსტრემუმის მოძებნის საშუალებას იძლევა.

ბატონი ვახტანგის სამეცნიერო მოღვაწეობის მესამე პერიოდი ადმინისტრაციული სისტემების მართვის საკითხცებს ეხება.

ვახტანგ ჭიჭინაძეს გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი ავტომატური მართვის სისტემების ანალიზისა და სინთეზის, ოპტიმალური და ადაპტური სისტემების თეორიისა და პრაქტიკის, სტატიკური და დინამიკური ოპტიმიზაციის, თამაშთა თეორიის, ადმინისტრაციული მართვისა და კონფლიქტური სიტუაციების ანალიზის საკითხებზე, აგრეთვე, ექვსი მონოგრაფია და ოთხი სახელმძღვანელო.

იგი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში. იგი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

აკადემიკოსი ვახტანგ ჭიჭინაძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მრავალი სიგელითა და დიპლომით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაჯილდოებული იყო მრავალი შვილიშვილით.

ბატონი ვახტანგის სახელი არასდროს წაიშლება მისი კოლეგებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 97 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი

ვახტანგ ჭიჭინაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის პროცესების ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 97 წლის ასაკში გარდაიცვალა ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე მისი სახელოვანი თანამშრომელი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ოფიცერი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

ვახტანგ კონსტანტინეს ძე ჭიჭინაძე

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და მთელ საჭირისუფლოს, ასევე საქართველოს ტექნიკურ სამეცნიერო საზოგადოებას.

რაფაელ ჩიქოვანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტ „მიონის“ ყოფილი დირექტორი, აკადემიკოსი

ვახტანგ ჭიჭინაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

უკვდავი სახელი

ვახტანგ (ვახუშტი) ჯაფარიძე

საქართველოს ვეტერანულმა მოძრაობამ კიდევ ერთი დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი **ვახუშტი ჯაფარიძე,** რომელმაც თავისი შინაარსიანი ცხოვრებით საქართველოს საზოგადოებაში დატოვა „კაცი ლეგენდის“ უკვდავი სახელი.

ვ. ჯაფარიძე დაიბადა 1921 წლის 21 სექტემბერს ონის რაიონის სოფ. შარდომეთში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, საიდანაც 1942 წელს, იანვარში, გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საბრძოლო ოპერაციაში, იყო სანიმუშო მზვერავი. დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე დაზვერვის სამსახურში საბრძოლო მოქმედებებში მიღებული აქტიური მონაწოლეობისთვის და დამოუკიდებელი საქართველოს შრომით ფერხულში აქტიური მონაწილეობისთვის დაჯილდოებული იყო მრავალი საბრძოლო და შრომითი ორდენითა და მედლით, მათ შორის ვახტანგ გორგასლის მეორე და მესამე ხარისხის ორდენებით.

ცხოვრების ამ ურთულეს ეპოქაში ჩამოყალიბდნენ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებენ. ეს ადამიანები თავიანთი მაღალი ზნეობრივი სისპეტაკითა და კეთილშობილებით თავის გარემოცვაში დიდ სიყვარულს თესენ, რაც მათ გულებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კვებავს. ასეთ პიროვნებას უფალი და კაცთა მოდგმა უწოდებს სპეტაკ და ბუმბერაზ ადამიანს.

ჩვენი მეგობარი და კოლეგა, თანამებრძოლი ბატონი ვახტანგ (ვახუშტი) ჯაფარიძე ყოველთვის ატარებდა იმ დიდი ადამიანის თვისებებს, რაც ზემოთ მოგახსენეთ. იგი უღალატო და ზნეობრივად დაჯილდოებული დარბაისელი კაცი იყო, რომელმაც თავისი 93 წლით დამძიმებული ცხოვრების გზაზე არაერთი გაჭირვება,ცხოვრების მტკივნეული პერიოდები და სიმძიმეები განიცადა, მაგრამ იგი ყოველთვის მედგრად და შეუპოვრად მიაბიჯებდა ამ ძნელად სავალ წუთისოფელში.

ბატონმა ვახტანგმა თავის ზურგზე გამოსცადა დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი ეპიზოდები. ფრონტის წინახაზზე არაერთი საგმირო საქმე აქვს ჩადენილი, რა დროსაც იგი რამდენიმეჯერ იყო მძიმედ დაჭრილი.

ფრონტიდან დაბრუნებისა და ჭრილობების მოშუშების შემდეგ, იგი მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სადაც მან თავისი საქმიანობის უპირველეს ამოცანად დაისახა სისხლის სამართლის დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლა. მან ამ საქმეს თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები მიუძღვნა. იგი მრავალი წელი მუშაობდა ზესტაფონის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსად, ქ. ქუთაისის მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილების ხელმძღვანელად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამმართველოს უფროსის მოადგილედ და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მუშაობის პერიოდში ბატონმა ვახტანგმა არერთი ბოროტმოქმედი ამხილა, რომელთაც მძიმე დანაშაულები (მკვლელობა, ყაჩაღობა, ძარცვა, გაუპატიურება და სხვა) ჰქონდათ ჩადენილი. მას გამჭრიახი ოპერატიული ალღოთი და ცოდნით, არაერთი დანაშაული აქვს აღკვეთილი. ამ მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა (93 წელი), ბატონი ვახუშტი გადრაცვალებამდე მთელი შემართებით აქტიურად აგრძელებდა მუშაობას ქვეყანაში ვეტერანული მოძრაობის საქმეში. იგი დედაქალაქში ხელმძღვანელობდა მთაწმინდის რაიონის „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების“ ვეტერანთა რაიონულ კავშირს, რომლის მუშაობის შედეგები დედაქალაქის სხვა რაიონებთან შედარებით სანიმუშოა.

ბატონი ვახტანგ (ვახუშტი) ჯაფარიძის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება და დანაკლისი მოუტანა მის ოჯახს, ქვეყანაში მცხოვრებ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, ფართო საზოგადოებას.

მისი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულებში.

ირაკლი შიხიაშვილი, მიხეილ ხომერიკი, ჯანდრი უბირია, ზაზა მესხი, რევაზ ნაცარიშვილი, ტიტე ლეფსაია, ბიძინა კარტოზია, შუანგი შერმაზანაშვილი, გურამ გვეტაძე, გიორგი ხაზარაძე, რადი ეძგვერაძე, როგინზონ პაპიძე, დავით იაკობაშვილი, შოთა ბუაძე, მანანა არევაძე, ტარასი იჩიტიძე, შოთა ვაშაკიძე, ბადრი შევარდნაძე, თეიმურაზ სიმონიშვილი, როზა ოსეფაიშვილი, გაიოზ ხუციშვილი, მითრიდატ ჟანტურია, გოჩა ბაძრაძე, რეზო თოიძე, ნოდარ პეტრიაშვილი, იაგო გოგსაძე, აპოლონ ჩიჩხაშვილი.

შვილები მანანა, ლევან ჯაფარიძეები, რძალი ნანა ჯაფარიძე, შვილიშვილი სოფიო იოსელიანი, შვილთაშვილები ანასტასია იოსელიანი, მარიამ და ჭაბუკა თოფაძეები, ძმა ვასო ჯაფარიძე, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილი გივი ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ვახტანგ (ვახუშტი) ჯაფარიძე

პანაშვიდი 28 VIII, 5 სთ. მის: იაკობ ნიკოლაძის №8, მე-4 სართული. გამოსვენება 29 VIII, 15 სთ. ვერის სასაფლაოს წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახ. ეკლესიიდან.

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ვეტერანული მოძრაობის აქტიური მონაწილე, ვეტერანთა მთაწმინდის რაიონული კავშირის თავმჯდომარე

ვახუშტი (ვახტანგ)

ნიკოლოზის ძე ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მანანა გეგეჭკორი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება პრეზიდიუმის წევრის, თეატრმცოდნე

მანანა გეგეჭკორის

გარდაცვალებას და ღრმა მწუხარებას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

მეუღლე გურამი, შვილები ნინო, ეკატერინე, სიძეები კახა ცაბაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, შვილიშვილები თათა, ლევანი, ქეთევანი, გიორგი, გურამი, მარიამი, ნინო, შვილთაშვილები, და რუსუდანი, დისშვილი ლია, მძახლები მარიამ გოქაძე, გიორგი ჩხაიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან გიორგის

ასული ფერაძე

პანაშვიდი 28, 29 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 30 VIII, 14 სთ. მის: იოსებიძის ქ.№74.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

სულთათანა

რევაზ (რეზო) მეტრეველი



ქართულმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი 1962 წლიდან, ღვაწლმოსილი მხატვარი-კერამიკოსი **რევაზ (რეზო) მეტრეველი.**

1958 წელს მან დაამთავრა ქ.თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი.

1958 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ სამხატვრო გამოფენებში. აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი კერამიკული ნამუშევრები, ვიტრაჟები და პანოები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მას მხატვრულად გაფორმებული აქვს მრავალი ობიექტი.

მხატვარი აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ მოწყობილ გამოფენებში, პლენერებში, სიმპოზიუმებში და საქველმოქმედო აქციებში. ბატონი რეზო იყო საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებულია პრაღის საერთაშორისო გამოფენის დიპლომით (1962 წ.) საფრანგეთის ქ. ვოლორისის მხატვრული კერამიკის გამოფენის დიდი ოქროს მედლითა და დიპლომით (1970 წ.) და მრავალი სხვა ჯილდოთი.

მხატვრის ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სამხატვრო აკადემიისა და ეროვნული გალერეის ფონდებში, ტოკიოს მუდმივ საგამოფენო ფონდში, საფრანგეთის ქ.ვოლორისის მუზეუმში და კერძო კოლექციებში.

შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად ბატონი რევაზ (რეზო) მეტრეველი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა თაობის აღზრდაში.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, ნიჭიერი, განათლებული, კეთილშობილი პიროვნება და მეგობარი.

ბატონი რევაზ მეტრეველის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი შვილების, ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა კავშირი

გია პლატონიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს მწუხარებაში მეგობრებს ნატო მეტრეველსა და მამუკა ბაქრაძეს მამისა და სიმამრის, სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის

რევაზ (რეზო) მეტრეველის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი ფსიქიატრის, აკადემიკოს

შოთა გამყრელიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კრიმინალი

არსენალს ეზოში მალავდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1951 წელს დაბადებული სევერიან კ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

„სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობის ჩხრეკისას, „ა-კა-ეს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 5 მჭიდი და 356 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს“, — აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამოღებულია დიდი რაოდენობით „კოდეინი“

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1955წელს დაბადებული ლევან კ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ფონიჭალაში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 529 აბი „კოდეინი“ ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებით დაკავებულს ოპიუმის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

განცხადება

2015 წლის 18 სექტემბერს დღის 10 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება თბილისის „ცენტროლიტის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2014 წლის წლიური ანგარიში;
2. სააქციო საზოგადოების დირექტორის არჩევა;
3. სხვადასხვა.

მისამართი: თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ.№29, სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2015 წლის 30 მარტი.

◎ გამოუცნობის წახნაგები

გამაგონე... რას ფიქრობ

უძველესი დროიდან მოყოლებული, სხვისი აზრების წაკითხვის უნარი ადამიანებს იმდენად მნიშვნელოვნად და ზებუნებრივად მიაჩნდათ, რომ მას ღმერთებს მიაწერდნენ.

უზენაესი არსებები იმიტომაც იყვნენ ყოვლის შემძლენი, რომ აზრთა წაკითხვა და ნატვრების შესრულება შეეძლოთ. მაგრამ ერთია ღმერთები, სხვა საქმეა ამ ნიჭით დაჯილდოებული ჩვეულებრივი ადამიანები. განა არ უნდა მოერიდო კაცს, რომელსაც

შენი ფარული აზრების წაკითხვა და სულის ყველაზე იდუმალ კუნჭულში შეღწევის უნარი აქვს? ტელეპატს ხომ ნებისმიერი საჯარო პირისთვის შანტაჟის მოწყობა შეუძლია, განსაკუთრებით საშიში კი იგი პოლიტიკოსებისთვისაა. ასეთ კაცს, ფაქტობრივად, ვერც ერთ თამაშში ვერ აჯობებ — იგი მოწინააღმდეგის ყველა ჩანაფიქრს შიფრავს და წინსწრებაზე თამაშობს.

ტელეპატია — უხილავი ძალაა, რომლებსაც თაღლითები და გაიძვერები მოურიდებლად, თავხედურად იყენებენ. მოწინააღმდეგის აზრების წაკითხვა ბევრ პროფესიონალ ბანქოს მოთამაშესაც შეუძლია. დადგენილია, რომ **როცა კაცი რამე გულის გასახარს ხედავს, თვალის გუგები უფართოვდება, უსიამოს ნახვისას კი უვიწროვდება.** ბანქოს გამოცდილი მოთამაშეები პარტნიორებს საგანგებოდ აკვირდებიან და... უმეტესწილად იგებენ კიდეც.

ტელეპატიის სფეროში პირველი ცდები მე-19 საუკუნის მიწურულს ლონდონის ფსიქიკურ გამოკვლევათა საზოგადოებაში ჩაატარეს. მისმა წევრებმა არაერთი თაღლითი ამხილეს, რომელიც თავს ტელეპატად ასაღებდა. საზოგადოებასთან აქტიურად თანამშრომლობდა ამერიკელი დოქტორი ჯოზეფ ბენქსი, რომელმაც თავის მეუღლესთან ერთად ჩრდილოეთ კაროლინის შტატში რაინის კვლევით ცენტრში ამ იდუმალი მოვლენის შესასწავლად დიდი სამუშაო გასწია, მაგრამ ფენომენის ახსნა მაინც ვერ შეძლო. თუმცა, ისიცაა, რომ მეუღლეებმა რამდენიმე უმნიშვნელო, მაგრამ მეტად საგულისხმო ურთიერთკავშირის დადგენა შეძლეს, რომელთა ახსნა უბრალოდ დამთხვევებით შეუძლებელია.

ცივი ომის დროს, ერთმანეთს დაპირისპირებულ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ში, დიდად გასაიდუმლოებულად, ტელეპატიურ ექსპერიმენტებს ატარებდნენ. მრავალრიცხოვანი ცდების მიზანი ჩეულებრივი ადამიანისთვის სხვის გონებაში შეღწევისა და მისი იდუმალი აზრების წაკითხვის უნარის სწავლება იყო. სპეციალურმა ამერიკულმა საიდუმლო პროგრამამ „ვარსკვლავური კარიბჭე“ 20 წელი იარსება, ლაბორატორიაში 40 თანამშრომელი, 23 ნათელმხილველი და 3 მედიუმი მუშაობდა. მათ უამრავი ექსპერიმენტი ჩაატარეს, მათ შორის 1986 წელს დაბომბვამდე პოლკოვნიკ მუამარ კადაფის, 1994 წელს ჩრდილოეთ კორეაში პლუტონიუმის საწყობის, 1981 წელს იტალიაში ტერორისტების მიერ გატაცებული მძევლის ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, თუმცა კი, არსებითად, დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

ბოლო დროს, მეცნიერთა ძალისხმევა თავის ტვინის შესწავლაზეა მიმართული, რომლის წიაღში მრავალი, მათ შორის ტელეპატიის საიდუმლოა დამალული. **პრინციპულად თუ განვიხილავთ, თავის ტვინი მართლაც გადამცემს წარმოადგენს, რომელიც ჩვენს აზრებს ძალიან სუსტი ელექტროტალღების და ელექტრული სიგნალების სახით ასხვისებს.** მაგრამ, საქმე ისაა, რომ სხვის) აზრების წასაკითხად ამ ნიშნების გამოყენება, ჯერჯერობით, ვერავინ შეძლო. **ამის პირველი მიზეზი ის არის, რომ სიგნალები ძალიან სუსტია. მეორე, რომ არეულად მოდის. მესამე, რომ ჩვენს თავის ტვინს მათი მიღების უნარი არ შესწევს.** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინტერნეტში, კერძოდ, აღნიშნულია: **„...ტელეპატიური კავშირის პრინციპული შესაძლებლობა ექსპერიმენტულად დამტკიცებულია. ამასთან, ცალსახად დადასტურებულია, რომ ამ კავშირის არხი ჩვენთვის ცნობილი ყველა ველის — ელექტრომაგნიტურის, გრავიტაციულისა და ა. შ. — ზემოქმედების სფეროებს მიღმა არსებობს. პრინციპში, ტელეპატიის ფენომენში არაფერი რთული არ არის — ნებისმიერ ადამიანს, გარკვეული გავარჯიშების შემდეგ, შეუძლია სხვა ადამიანის „მიყურადება“. თანაც საამისოდ რაიმე საგანგებო ხელსაწყო საჭირო არ არის...“**

თუმცა კი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მცდელობებს გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

მოამზადა
ოთარ მერიშვილმა

ეს საოცარი თირკმლები...

ნივთიერებათა ცვლის შედეგად ორგანიზმში დაგროვილი ტოქსინებისგან სისხლის გაწმენდა და ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებათა გაყვანა თირკმლების მთავარი ფუნქციაა; მათი წონა 120-200 გრამია, თანაც მარჯვენა მარცხენაზე ოდნავ დიდი და მძიმეა. **ერთი თირკმლის ზომებია:** სიგრძეში დაახლოებით 11,5-12,5 სიგანეში 5-6 და სისქეში 3-4 სანტიმეტრი; დღე-ღამეში თირკმლები 1700-2000 ლიტრ სისხლს ატარებენ, მათში 120-150 ლიტრი პირველადი და 1,2 ლიტრი მეორადი შარდი წარმოიქმნება; 4- 5 წუთში თირკმლებში ორგანიზმის მთელი სისხლი გადის; თითოეულ თირკმელში მილიონი მფილტრავი ელემენტია; ორივე თირკმლის მასა სხეულის მასის 0,5 პროცენტს შეადგენს, მაგრამ ისინი ორგანიზმის მიერ მოხმარებული ჟანგბადის მთელი ოდენობის 9 პროცენტს ხარჯავენ. თირკმლების ქერქის ნივთიერება თავის ტვინის ქერქზე მეტ ჟანგბადს მოიხმარს; ორგანიზმის ენერგიის დაახლოებით 10 პროცენტი შარდის წარმოქმნის პროცესზე იხარჯება; თირკმლების ყველაზე მძიმე და გავრცელებული დაავადებაა შარდის კენჭების წარმოქმნა„ დღეში ორი ლიტრი წყლის მოხმარებას ამ სნეულების რისკის შემცირება შეუძლია; ფეხმძიმე ქალებს თირკმლებზე დატვირთვა ათჯერ ეზრდებათ; 150 პროცენტით ასრულებს თავის ფუნქციას ორი ჯანმრთელი თირკმელი. ამიტომაცაა, რომ თუკი ზედმეტად არ დატვირთავს, კაცს ნორმალურად ცხოვრება ცალი თირკმლითაც შეუძლია; თირკმლის უკმარისობა ინფარქტისა და ინსულტის ალბათობას 25-ჯერ ზრდის; ჰემოდიალიზის აპარატი — პირველი ხელოვნური თირკმელი — 1944 წელს გამოიყენეს. 2013 წელს ამერიკელებმა ბიოინჟინრული მეთოდით იმპლატირებადი ხელოვნური თირკმელი შეიმუშავეს; ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 6 ათასი კაცი თავის ჯანმრთელ თირკმელს ვიღაცას აძლევს. მათგან ერთი ნახევარია პირდაპირი ნათესავები, მეორე ნახევარი — მეუღლეები და მეგობრები. დაახლოებით ასი კაცი კი თავისი თირკმლის გაცემით სიცოცხლეს იმ ადამიანს ჩუქნის, რომელიც ცხოვრებაში თვალით არ უნახავს; თირკმლების ცუდი მუშაობის ნიშნებია ჩაშავებული თვალები, სხეულის უსიამო სუნი და სისუსტის შეგრძნება ფეხებში.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 1 სექტემბერს

◎ ცინცხალი ანეკდოტები

წინადადება ფეხბურთის ფედერაციას:
უმჯობესია, ავადმყოფი ბავშვების სამკურნალო თანხები ბიუჯეტიდან გამოიყოფოდეს ფეხბურთელებისა და მათი მწვრთნელებისათვის ფულის შესაგროვებლად კი მასმედიაში საბანკო ანგარიშების ნომრები ქვეყნდებოდეს.

* * *

— დალევ რამეს?
— სულელურ რიტორიკულ კითხვებზე არ ვპასუხობ. დაასხი!

* * *

ძმას გაუმარჯოს! როგორ მიდის საქმეები?
— რა გითხრა, აბა... შვებულებაში ვაპირებ გასვლას, აგარაკზე მინდა წავიდე.
— ცოლთან ერთად თუ დასასვენებლად?

* * *

— ცოლი-ძმარს:
მუშაობა სულაც არ არის ქალის საქმე. ქალი სამსახურში ახალი კაბების საჩვენებლად უნდა დადიოდეს.

* * *

გარიგება სარფიანია, თუკი ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ერთმა მეორე, მოატყუა.

* * *

გგონიათ, რომ არავის სჭირდებით? მაშინ სცადეთ და დღისით დაიძინეთ და ნახავთ, რომ აუარება ხალხი დაგირეკავთ. ისეთებიც კი, ვისაც საერთოდ არ იცნობთ!

* * *

— მე ის ბიჭი აღარა ვარ, რომ დაუფიქრებლად სისულელეები ვაკეთო. ჩემ ასაკში ხალხი სიტუტუცეებს სრულიად შეგნებულად, თანაც დიდი სიამოვნებით აკეთებს!

* * *

ვერაფრით ვახერხებ ფულის გონივრულად დახარჯვას: ხან გონი არ მყოფნის, ხან ფული.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე